619
1978
ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დროშა

მარტი
№ 3 1978 წ.

# ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს გადაეცა „გამარჯვების“ ორდენი

ეროვნული ბიბლიოთეკა



სურათზე: კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელები ჯილდოს გადაცემის დროს.




## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის,
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის,
სსრ კავშირის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის,
საბჭოთა კავშირის მარშლის

## ლ. ი. ბრეჟნევის «გამარჯვების» ორდენით დაჯილდოების შესახებ

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების გამარჯვებაში შეტანილი დიდი წვლილისათვის, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში უთვალსაჩინოესი ღვაწლისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს იმ სამშვიდობო საგარეო პოლიტიკის შემუშავებისა და თანამიმდევრული განხორციელებისათვის, რომელიც საიმედოდ უზრუნველყოფს ქვეყნის განვითარებას მშვიდობიან პირობებში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, სსრ კავშირის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის მარშალი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი დაჯილდოვდეს „გამარჯვების“ ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის
პირველი მოადგილე ვ. კუზნეცოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1978 წლის 20 თებერვალი.

# სამშობლოს ჯილდო გვავალებს!

ჩვენი სამშობლოს მშრომელებში უდიდესი სიხარული, ახალი შრომითი შემართება და ენთუზიაზმი გამოიწვია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, 1977 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ.

ამ უაღრესად მნიშვნელოვან პოლიტიკურ დოკუმენტში მაღალი შეფასება მიეცა და დამსახურებულად დაჯილდოვდნენ ისინი, ვინც დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავი და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღება საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული შესანიშნავი წარმატებებით დააგვირგვინა.

დიდია ის სიხარული და სიამაყის გრძნობა, რომელმაც ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები მოიცვა. საბჭოთა საქართველო სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის ზედიზედ მეხუთედ დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

საკავშირო გარდამავალი წითელი დროშები მოიპოვეს აჭარის ავტონომიურმა საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ, ქალაქმა თბილისმა, ქალაქმა ქუთაისმა, აბაშის, მახარაძისა და თერჯოლის რაიონებმა.

ჩვენი რესპუბლიკის 29 სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო, სამშენებლო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციამ დაიმსახურა გარდამავალი წითელი დროშები. საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ამ გამარჯვებულთაგან თორმეტი შრომითი კოლექტივი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საპატიო დაფაზეც შეიტანეს.

გამარჯვება შემთხვევით და თავისთავად როდი მოსულა!

საიუბილეო წლის ეს მართლაცდა საამაყო გამარჯვება რესპუბლიკის სახელოვანმა მუშათა კლასმა, გამრჯე კოლმეურნეებმა, ჩვენმა ინტელიგენციამ მოიპოვა თავდადებული შრომით, სიძნელეებთან შეუპოვარი ბრძოლით, საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომით, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის შეუნელებელი ზრუნვითა და უშუალო ხელმძღვანელობით.

ჩვენს გამარჯვებაში უდიდესი წვლილი შეიტანა იმ ობიექტურმა პირობებმა, რომლებიც უკანასკნელ წლებში შეიქმნა რესპუბლიკაში მორალურ-პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებისათვის, სოციალისტური კანონიერების, პარტიული, სახელმწიფო და შრომითი დისციპლინის განმტკიცებისათვის უკომპრომისო ბრძოლაში.

სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის გაშლილ საყოველთაო ლაშქრობაში ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა ხელში აიტაცეს რუსთაველთა პატრიოტული ინიციატივა — „არც ერთი უდისციპლინო და ჩამორჩენილი ჩვენ გვერდით!“ ფართო მხარდაჭერა ჰპოვა პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტისა და თბილისის პირველი მაისის რაიკომის წამოწყებამ, რომ არ გვყავდეს არც ერთი ჩამორჩენილი საწარმო.

წინ კიდევ უფრო დიდი მიჯნებია გადასალახი! სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმზე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა თავის სიტყვაში აღნიშნა: „საჭიროა შევინარჩუნოთ და განვამტკიცოთ საიუბილეო შეჯიბრების შრომითი შემართება და რიტმი. დღეს ვიმუშაოთ გუშინდელზე უკეთ, ხვალ კი დღევანდელზე უკეთ. ასეთია დღის ლოზუნგი“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებები, ამ პლენუმზე წარმოთქმული ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ღრმაშინაარსიანი და დამრაზმველი სიტყვა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილი — „1978 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ ახალი შემართებით რაზმავს მშრომელებს.

საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვება საბჭოთა საქართველოს წინაშე კიდევ უფრო დიდი პასუხისმგებლობით აყენებს გადასაჭრელ ამოცანას — გადავაქციოთ მეათე ხუთწლედის მესამე წელი დამკვრელურ წლად, წარმატებით შევასრულოთ მიმდინარე წლის სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი!

ჩვენი ხალხის გარჯა და შრომისმოყვარეობა, ნათელი მიზანი, სამშობლოსა და დიდი ლენინის პარტიისადმი უსაზღვრო ნდობა, ერთგულება, სიყვარული, ეჭვს გარეშეა, კვლავაც ახალ გამარჯვებამდე მიგვიყვანს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 3 (495) მარტი, 1978 წ

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

© „დროშა“, 1978.







მთავარი რედაქტორი
რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია:
გულნარა ბახტაძე,
თენგიზ გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი),
ოთარ დემეტრაშვილი,
გურამ დოჩანაშვილი,
სერგო დურმიშიძე,
დინარა ნოდია (მხატვარი-რედაქტორი),
ლადო სულაბერიძე,
ილია ტაბაღუა,
უჩა ჯაფარიძე.

კორექტორი ქეთევან წერეთელი



საქ. სსრ კ. მარქსის

# რუსთაველ ქიმიკოსებთან



ქარხნის ერთ-ერთი ხედი. ▲

რუსთავში შუადღისას ჩავედი. ადრეული გაზაფხულის მზიანი ამინდი იდგა. შევცქეროდი რესპუბლიკის მრეწველობის ფლაგმანს და გული სიხარულით მევსებოდა.

ცისკენ შემართული სართულები, ფართო, თანამედროვე ქუჩები, მოხდენილი სკვერები, მოედნები... ვაკვირდებოდი ირგვლივ მოფუსფუსე ადამიანებს, რომლებმაც დაუშრეტელი რწმენისა და ენერგიის წყალობით აღმართეს ეს სართულები, აშენეს ქარხნები, ჩაუმქრალ ჩირაღდნად აანთეს მრავალჭირნახულ ქართულ მიწაზე ფოლადის ქალაქი...

ვერც კი ვიგრძენი, როგორ აღმოვჩნდი რუსთავის ქიმიური ქარხნის ვეებერთელა რკინის ჭიშკართან.

ქარხნის პარტიულ კომიტეტს მივაშურე.

პარტკომის მდივნის მოადგილემ გურამ იმედაშვილმა როცა გაიგო ჩემი სტუმრობის მიზანი, მაშინვე საქმიანი საუბარი გამიბა.

— ჩვენი ქარხანა მრავალი სახის ქიმიურ პროდუქციას აწარმოებს; ეს პროდუქცია ფართოდ გამოიყენება როგორც სოფლის მეურნეობაში, ისე მსუბუქ მრეწველობაში.

— საქართველოს სოფლის მშრომელებმა საიუბილეო წელს შრომაში მოპოვებული გმარჯვება იზეიმეს. მათ წარმატებაში ალბათ თქვენს ქარხანასაც მიუძღვის წვლილი, — ვაწყვეტინებ საუბარს გურამს.

მოსაუბრე დასტურის ნიშნად მიქნევს თავს.

— მართალი ბრძანდებით! ჩვენი ქარხანა სოფლის მეურნეობის მუშაკებს რეგულარულად აწვდის ესოდენ საჭირო სხვადასხვა მინერალურ სასუქებს... წამობრძანდით, ადგილზე დავათვალიეროთ ყველაფერი.

ქარხნის ტერიტორიაზე შევედით და ნელი ნაბიჯით გავუყევით გზას. ლარივით გაჭიმული გზის ორივე მხარეს გოლიათი საამქროები წამომართულან. საამქროთა შემოგარენი ნაძვის ხეებს დაუბურავთ, ყველგან იგრძნობა გამრჯე ადამიანის მზრუნველი ხელი. საამქროებიდან აგრეგატებისა და სამართავი აპარატების დაგადუგი მოისმის.

ერთ-ერთი საამქროს გვერდით მინერალური სასუქებით დატვირთული ვაგონები შევნიშნე.

— ეს საზღვარგარეთ გასაგზავნი პროდუქციაა, — მიხსნის ჩემი მეგზური, — სად არ შეხვდებით ჩვენი ქარხნის ნაწარმს: კუბაში, ჩეხოსლოვაკიაში, საფრანგეთში, ჰოლანდიაში...

სინთეზის № 1 საამქროში შევდივართ.

ეს საამქრო ქარხნის დანარჩენი საამქროების მთავარი საწარმოო ძარღვია. სასინთეზე სვეტში, მაღალი წნევისა და მაღალი ტემპერატურის ქვეშ, რკინის კატალიზატორზე რეაქციის შედეგად მიიღება თხევადი ამონიაკი, რაც უმთავრესი ნედლეულია მინერალური სასუქების წარმოებისათვის.

საამქროში შესვლისთანავე თვალში მეცა სასიამოვნო სისადავე და სისუფთავე. შენობის ფაქიზად შეღებილი კედლები, დალაგებულ-გაკრიალებული ყოველი კუთხე-კუნჭული მართლაც რომ სასიამოვნო ზეგავლენას ახდენს ყველაზე, უპირველესად კი მუშა ადამიანის გუნებაგანწყობილებაზე.

დანადგარებთან მომუშავე ადამიანებში მე თითქოს ნაცნობ სახეებს ვხედავდი: იმ სახეებს, რომლებიც ხშირად მინახია საკოლმეურნეო მინდვრებში, პლანტაციებში, ენგურჰესის მშენებლობაზე, შახტებსა თუ ნოლაეთის საძოვრებზე.

ესენი სწორედ ის საბჭოთა ადამიანები იყვნენ, რომლებიც ყველგან თავდადებით შრომობენ, სახე ულიმით, გული რწმენით აქვთ აღსავსე, ხვალინდელი კიდევ უფრო ნათელი დღისათვის საიმედო საძირკველს ყრიან მოუღლელ მარჯვენით.

საამქროს ბოლოს მოულოდნელად რაღაცამ ყრუდ დაიქუხა. აგრეგატების ხმაური თანდათან მინელდა, თითქოს ზარდაცემულებს ძალა გამოეცალათ.

— ელექტროძრავა გამოირთო, — შეწუხდა გურამი, — დამკვრელური წლის პირველი თვეებია, ყოველი წუთი მილიონი გვილირს!

მერე მომიბრუნდა და სწრაფად ამიხსნა, რომ ამ ავარიის შემდეგ ხუთ სასინთეზე აგრეგატში აუცილებლად უნდა შენარჩუნებულიყო 380 გრადუსზე მეტი ტემპერატურა. ეს ტემპერატურა ელექტროენერგიის მიღების შემთხვევაში საშუალებას იძლეოდა, რომ შეუფერხებლად აღედგინათ აგრეგატების მოქმედება და დაეცვათ ქარხნის რიტმული მუშაობა.

— აბა, ბიჭებო, მარჯვედ! — რიხიანად გასძახა აგრეგატებთან მოფუსფუსე ამხანაგებს ერთმა შავგვრემანმა, ორმოციოდე წლის კაცმა და თვითონ მაშინვე სადღაც გაქრა.

# ქართული დიატომიტი



მუხის ფოთლის ანაბეჭდი დიატომიტზე

მდინარე ურაველას თვალწარმტაც ხეობაში მიმავალი გზიდან კარგად მოჩანს ზღვის დონიდან 1400-1700 მეტრ სიმაღლეზე მდებარე დიატომიტის მაღაროს ზედაპირული კომპლექსი. გაღმა-გამოღმა მესხეთის მთებია შემოჯარული.

სწორედ ამ მთების გულშია ჩაწოლილი ძვირფასი მინერალური ნედლეული — დიატომიტი. იგი წარმოშობილია წყალმცენარეებისაგან, ე. წ. „დიატომებისაგან“, რომლებიც ლპობის შედეგად ტბის ან ზღვის ფსკერზე ილექებიან და დიატომიტის ფენებს ქმნიან.

გარეგნულად დიატომიტი კირქვას ან მშრალ თიხას წააგავს. იგი ჩვეულებრივ თეთრი, მოყვითალო, რუხი ან მომწვანო ფერისაა, გვხვდება შავი ფერის დიატომიტიც.

თავისი დამახასიათებელი თვისებებით ახალციხის (ქისათიბის) საბადოს დიატომიტი ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში. მაგალითად, თუ ამერიკულ (კალიფორნია, ვირჯინია) დიატომიტში მთლიანი ჯავშნების რაოდენობა ერთ კუბიკურ სანტიმეტრში 4-7 მილიონამდეა, იზნესკიაში (უკრაინა) — 6-11 მილიონია, ქისათიბის დიატომიტში კი ეს მაჩვენებელი 30 მილიონამდე აღწევს. სხვა თვისებებითაც (რკინის ჟანგის შემცველობის სიმცირე, სიმსუბუქე) უფრო მაღლა დგას ქართული დიატომიტი.

დიატომიტს იყენებენ მსუბუქი ბეტონების შემავსებლად, თბოსაიზოლაციო მასალებისა და პლასტმასების დასამზადებლად.

განსაკუთრებით ძვირფასი და აუცილებელია დიატომიტი კვების, ქიმიური და ფარმაცევტული მრეწველობისათვის. იგი გამოიყენება როგორც



შესვენებაზე.



ანზორ ენუქიძე (შუაში) ესაუბრება მეგობრებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიფიქრე, ღმერთმანი, კარგი ნუგეშია, სხვას მოუწოდო თავდადებისაკენ და თვითონ კი მაშინვე გაიქცე-მეთქი. შევცდი. შავგვრემანი კაცი ორიოდე წუთში დაბრუნდა. ხელში სარემონტო ინსტრუმენტებით სავსე რკინის ყუთი ეჭირა. ბიჭები ყუთს შემოესივნენ, ზოგი ქანჩის გასაღებს იღებდა, ზოგი სათადარიგო ჭანჭიკებს, ზოგი კიდევ რასა და რას...

ახლად მოსული მოზრდილი ქანჩის გასაღებს დასწვდა, აიღო, აჩქარებით მივიდა იქვე მდგომ აგრეგატთან და უხმოდ შეუდგა მუშაობას.

— ვინ არის ეს კაცი? — ვანიშნე გურამ იმედაშვილს შავგვრემანზე.

— ცვლის უფროსი ანზორ ენუქიძე... საქმის ერთგული და პატიოსანი კაცია... თუმცა ჯობია, პირადად გაიცნოთ.

ვხედავდი, როგორ ჩამოსდიოდა ხვითქი ნაოჭებშეყრილი შუბლიდან. ანზორ ენუქიძეს დაკოჟრილ ხელში ქანჩის გასაღები მორჩილად ტრიალებდა გვერდებმოცვეთილ ჭანჭიკებზე გასაღები ზოგჯერ უხეიროდ ერგებოდა, სცდებოდა მიზანს და საქმისათვის შემართული მქლავის ძალა ჰაერშილა გაიელვებდა...

ბოლოს, თავის საქმეს რომ მორჩა, ანზორი ამხანაგებს მიუტრიალდა, ზოგს რჩევას აძლევდა, ზოგს რაღაცას ეთათბირებოდა, ზოგს კი იარაღს ართმევდა და თვითონ ეხმარებოდა.

ცვლა უკვე დამთავრდა. ბიჭები ადგილიდან არ იძროდნენ, საქმე მოითხოვდა და ვისღა ახსოვდა შინ წასვლა!

ახლად მოსულმა შემცვლელი ბრიგადის ბიჭებმა სწრაფად გადაიცვეს სამუშაო ტანსაცმელი, სამუშაო იარაღებს დაავლეს ხელი და ამხანაგებს ამოუდგნენ გვერდში.

მუშაობამ საღამოს რვა საათამდე გასტანა.

სინთეზის აგრეგატებზე საჭირო ტემპერატურა შენარჩუნებული იყო!

ბიჭების შეუპოვრობამ გამახარა. რამდენიმე მათგანს გამოვესაუბრე, ბოლოს გურამ იმედაშვილმა ანზორ ენუქიძე გამაცნო.

კომუნისტი ანზორ ენუქიძე თურმე თექვსმეტი წელია, რაც რუსთავის ქიმიურ ქარხანაში მუშაობს. საშუალო სკოლა მან ამბროლაურის რაიონის სოფელ სადმელში დაამთავრა, მას შემდეგ კი რუსთავშია. საქმისადმი ერთგულმა და გულითადმა დამოკიდებულებამ, მუდამ თავდადებულმა შრომამ და ძიებამ იგი მალე მოწინავეთა რიგებში ჩააყენა. ანზორი ავტორია რამდენიმე რაციონალიზატორული წინადადებისა, რომლებმაც ქარხანას გარკვეული ეკონომიკური მოგება მისცა. რიგითი მუშიდან იგი მალე ცვლის უფროსად დააწინაურეს.

ანზორ ენუქიძე ერთადერთი როდია! საქმისადმი, მშობლიური ქარხნისადმი, სამშობლოსადმი უზომო სიყვარულით გულანთებული ბევრი მუშა შრომობს დღეს რუსთავის ქიმიურ ქარხანაში.

ანხლა ანზორი გვათვალიერებინებს საამქროს. სამუშაო საათები უკვე კარგა ხანია დამთავრდა, მაგრამ სტუმარს პატივსა მცემს და დეტალურად მიხსნის ყველაფერს.

— ჩვენი საამქროს ნედლეული — თხევადი ამონიაკი ამჟამად სახელმწიფო ხარისხის ნიშნის მისაღებად არის წარდგენილი. ვცდილობთ, რომ ჩვენი საამქრო არ ჩამორჩეს სხვებს არც შრომაში და არც საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ანზორი ვრცელ საამქროებს გასცქერის და აგრძელებს:

— ჩვენი ქარხანა ერთ-ერთი მსხვილი საწარმოა ჩვენს ქვეყანაში. ამ ქარხანაში დამზადებულ კორდისა და სახალიჩე ქსოვილის ძაფებზე დიდი მოთხოვნილებაა საბჭოთა კავშირშიც და საზღვარგარეთაც. რუსთავული კაპროლაქტამი კიევშიც იგზავნება. თავისთავად ცხადია, ჩვენ კარგ მუშაობაზე რამდენად არის დამოკიდებული საერთო წარმატება.

მოსაუბრე წამით ჩერდება და მაშინვე განაგრძობს:

— აი ეს ბიჭები, გარშემო რომ გვეხვევიან, ყველა თავდადებითა და მონდომებით შრომობს. არა, ისე არ გამიგოთ, თითქოს ქარხნის კოლექტივში ჩამორჩენილი მუშა არ გვყავდეს... მათ მიმართ ჩვენ გადამჭრელ ზომებს ვიღებთ... კვლავაც ენერგიულად ვიბრძოლებთ ჩვენი ქარხნის სახელის გაფრთხილებისათვის.

სწორად ამბობს ანზორი. შარშან რუსთავის ქიმიურმა ქარხანამ კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა საიუბილეო წელი. პროდუქციის წარმოების გეგმა 101 პროცენტით, ხოლო რეალიზაციის გეგმა 100,8 პროცენტით შესრულდა.

ხუთწლედის მესამე დამკვრელური წელი მეტს მოითხოვს! მეტი ქიმიური ნაწარმი სჭირდება ჩვენს მრეწველობას, სოფლის მეურნეობის გაზრდილი მოთხოვნილება მეტ გვარჯილას, შხამქიმიკატებს, სხვა მინერალურ სასუქებს მოითხოვს.

მე მხოლოდ ერთი დღე ვიყავი ქიმიკოსთა ქალაქში და ისეთი შთაბეჭდილებებით წამოვედი, რომ აქაური მშრომელები ვაჟკაცურად დაიცავენ ქარხნის სახელს, მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებით კვლავაც ისახელებენ თავს, ყველაფერს გააკეთებენ სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

ვემშვიდობები ახლად გაცნობილებს.

რუსთავში უკვე ბინდია ჩამოწოლილი. ლარივით სწორ ქუჩებში ნათურები კაშკაშებენ.

ქიმიური ქარხნის ვეება მილებიდან ამონადენი კვამლი მოთეთრო-მოყვითალო ფერად მიიწევს ზევით. რიტმულად გუგუნებენ საამქროები, საქართველოს ქიმიის გიგანტიდან მეტი ხვავი და ბარაქა ემატება დედასამშობლოს.

**მიხეილ ხარიტონაშვილი**

საფილტრე და მათეთრებელი მასალა შაქრის ვაჟინის (სიროფის), ზეთების, ქონის, ხილის წვენების, ლუდის, გლიცერინისა და ინსულინის გასაწმენდად.

ამჟამად ახალციხის საბადოში მოპოვებული დიატომიტის 83 პროცენტი იგზავნება რუსთავის ცემენტის ქარხანაში, სადაც ენგურჰესის მაღლივი კაშხლის მშენებლობისათვის მზადდება დაბალტუტიანი ჰიდროტექნიკური ცემენტი. დანარჩენი ქართული დიატომიტი კი სხვადასხვა დანიშნულებისამებრ, ნატეხებისა თუ დაფქვილი სახით, იგზავნება მოსკოვში, ლენინგრადში, უფაში, უდანოვში, სუმგაითში, როსტოვში, ორჯონიკიძეში და მრავალ სხვა ქალაქში.

სპეციალისტების აზრით, ქართული დიატომიტი ენგურჰესის მშენებლობის დამთავრების შემდეგ ძირითადად უნდა მოხმარდეს კვების, ქიმურ და ფარმაცევტულ მრეწველობას.

კავკასიის მინერალოგიისა და სხვა ინსტიტუტების მიერ ჩატარებულმა ცდებმა ცხადყვეს, რომ ქისათიბის დიატომიტისაგან მიღებული საფილტრე ფხვნილი და აბსორბენტები თავისი ხარისხით მსოფლიო სტანდარტების მოთხოვნებს პასუხობენ. დიატომიტის თეთრი სახესხვაობისაგან მიღებული საფილტრე ფხვნილი კი მსოფლიოში ცნობილი ამერიკული „სუპერცელი“-ს ანალოგიურია.

როგორც აღვნიშნეთ, დიატომიტის გამოყენების სფერო მეტად მრავალფეროვანია და დღითი დღე იზრდება მასზე მოთხოვნილება. სათანადო ორგანოების გადაწყვეტილებით დასახულია უახლოეს ხანში მთელი რიგი ღონისძიებანი გატარდეს დიატომიტის წარმოებისა და მისი გამოყენების ეფექტიანობის გადიდებისათვის.

გათვალისწინებულია ახალი შახტის მშენებლობა, არსებულის რეკონსტრუქცია; ორგანიზებული იქნება დიატომიტისაგან საფილტრე მასალის წარმოება, კეთილმოეწყობა შახტის ტერიტორია, მოხდება ახალციხე-ურაველის გზატკეცილის გაფართოება, აშენდება საცხოვრებელი ბინები მაღაროელთათვის და მათი საწარმოო თუ კულტურული ცხოვრება კიდევ უფრო შინაარსიანი გახდება.

ამჟამად „საქშახტპროექტსა“ და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამთო მექანიკის ინსტიტუტში შედგენილია დიატომიტის საბადოს ახალი უბნების გახსნა-მომზადებისა და დამუშავების ტექნოლოგიური სქემები — თანამედროვე მექანიზმების გამოყენების გათვალისწინებით.

**გოდერძი ტაბატაძე**

ხუთწლედის ადამიანები

# სადაც აკაკის აკვანი დაირწა...



საქართველოს კომპარტიის საჩხერის რაიკომის პირველი მდივანი რევაზ ღლონტი.

საჩხერის რაიონი დიდხანს იყო ჩამორჩენილთა შორის. სამრეწველო საწარმოები გეგმებს ვერ ასრულებდნენ, ზარალს იძლეოდა სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგები; ნაკლებს ზრუნავდნენ მშრომელ ადამიანებზე, არ იყო მატერიალური წახალისება, სტიმულირება. თანდათან იკარგებოდა შრომის ხალისი, მაგრამ გამრჯე კოლმეურნეებს არასოდეს არ დაუკარგავთ მთავარი: ნეგატიურ მოვლენებთან უახლოეს ხანში დაუნდობელი ბრძოლის დასაწყისი.

ახალმა სიომ საჩხერის რაიონშიც დაქროლა. ჩვენმა ცხოვრებამ დაუნდობლად ჩამოიშორა გზიდან საზოგადოებრივ საქმეს შემთხვევით მიტმასნული, უპრინციპო, უნებისყოფო, საკუთარი განდიდებით შეპყრობილი ადამიანები.

პარტიის საჩხერის რაიკომის პირველ მდივნად კომუნისტებმა აირჩიეს გამოცდილი ორგანიზატორი, პრინციპული და სპეტაკი მუშაკი რევაზ ღლონტი.

იგი ენერგიულად ჩაუდგა სათავეში რაიონის კომუნისტების რაზმს, მათ უკომპრომისო ბრძოლას მორალურ-პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებისათვის, არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის, პარტიის მიზანდასახულობათა განუხრელად შესრულებისათვის.

დღეს უკვე ნათლად იგრძნობა გაწეული მუშაობის თვალსაჩინო შედეგები. რაიონში უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. მშრომელი ადამიანები საიმედოდ ამოუდგნენ მხარში პარტიის რაიონულ კომიტეტს და თავდადებული შრომით სასახელო მაჩვენებლები მოიპოვეს.

*ჟურნალ „დროშის სპეციალური კორესპონდენტი დავით ბიწაძე ეწვია საქართველოს კომპარტიის საჩხერის რაიკომის პირველ მდივანს რევაზ ღლონტს და სთხოვა, რამდენიმე შეკითხვაზე გაეცა პასუხი.*

— როგორი მდგომარეობაა ამჟამად რაიონში მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგებში?

— საჩხერის რაიონი ამჟამად ერთ-ერთი მოწინავე აგრარულ-სამრეწველო რაიონია. აქ მოქმედი შვიდი საწარმო წელიწადში უშვებს 15 მილიონი მანეთის პროდუქციას, ერთნახევარჯერ მეტს, ვიდრე წინა ხუთწლედში წელიწადში იძლეოდა. ამჟამად რაიონში არ არის არც ერთი ჩამორჩენილი საწარმო უბანი, ბრიგადა.

საჩხერის მარკით რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში, მის ფარგლებს გარეთ იგზავნება ღვინომასალები, ბოსტნეულისა და ხილის კონსერვები, ნატურალური წვენები, ხე-ტყე, საყალიბე ქვიშები...

აღმავლობის გზას დაადგა სოფლის მეურნეობაც. საზოგადოებრივმა მეურნეობებმა მეათე ხუთწლედის განვლილ ორ წელიწადში აწარმოეს 1.452 ტონით მეტი მარცვლეული და 2.631 ტონით, ანუ 55 პროცენტით მეტი ყურძენი — წინა ხუთწლედის შესაბამის პერიოდთან შედარებით. უკანასკნელი ექვსი წლის მანძილზე რაიონმა შარშან პირველად შეასრულა სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის დავალება, გაიზარდა მეურნეობათა ფულადი შემოსავალი. ყოველივე მიღწეულია, უმთავრესად, მოსავლიანობის გადიდების გზით. შარშან თითოეულ ჰექტარზე მიღებულია 12 ცენტნერით მეტი ყურძენი და 6 ცენტნერით მეტი მარცვლეული ვიდრე წინა ხუთწლედის მეორე წელს. მექანიზაციის და მოწინავე აგროტექნიკის უნარიანი გამოყენებით შემცირდა დანახარჯები მიღებულ პროდუქციაზე, ხოლო მეურნეობათა ფულადი შემოსავალი მკვეთრად გაიზარდა.

რაიონმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა სოფლის მეურნეობის სხვა დარგებშიც.

— რას გვეტყვით მეცხოველეობაზე?

— რაიონში მეცხოველეობა მართლაც რომ თავმინებებული დარგი იყო. საკმარისია ითქვას, რომ აქაურმა მეურნეობებმა 1972 წელს 79 ათასი მანეთი იზარალეს. დღეისათვის სურათი მთლიანად შეიცვალა. ეს დარგი უკვე გავიყვანეთ მოწინავე პოზიციებზე. შარშან, მაგალითად, გეგმით გათვალისწინებული 850 ტონა ხორცისა და 1.900 ტონა რძის ნაცვლად სახელმწიფოს მივყიდეთ 1.291 ტონა ხორცი და 2.200 ტონა რძე. რაც მთავარია, საგრძნობლად შემცირდა ამ პროდუქტების წარმოების თვითღირებულება. შარშან მეცხოველეობამ უკვე 160 ათასი მანეთის მოგება მოგვცა.

წარმატება განაპირობა მეცხოველეობისადმი პარტიულმა, სახელმწიფოებრივმა მიდგომამ. ჩვენს მოღვაწეობას საფუძვლად დავუდეთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის გადაწყვეტილებები, მთავარი ყურადღება დავუთმეთ მეცხოველეობის სპეციალიზაციასა და კონცენტრაციას. მაღალმთიან სოფელ კორბოულში, რომელსაც ვრცელი სავარგულები და სათიბ-საძოვრები გააჩნია, ხუთი ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობის ბაზაზე შევქმენით მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა. მოძვის კოლმეურნეობის ბაზაზე ჩამოყალიბდა მეცხოველეობის საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანება, იგი სწრაფად დაადგა აღმავლობის გზას და დიდ მოგებას იძლევა.

ფერმებში ამაღლდა შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დონე. მოძვის მეცხოველეობის გაერთიანებაში მთლიანად მექანიზებულია ძირითადი შრომატევადი პროცესები. ახლა ფერმებში მეტი გვყავს ჯიშიანი ძროხები და ღორები, უკეთ მოვაწყვეთ საქონლის სუქება და სახელმწიფოს ვაბარებთ მხოლოდ მაღალი ნაკვებურობის პირუტყვს. სიახლეა მეცხოველეთა შრომის ანაზღაურებაშიც — მეცხოველეებს ნატურით ეძლევათ მათ მიერ გეგმის ზევით მიღებული პროდუქციის 40 პროცენტი, რამაც მკვეთრად აამაღლა შრომითი აქტივობა.

— რა კეთდება რაიონული ცენტრისა და სოფლების კეთილმოწყობისათვის?

— დიდი აკაკის სამშობლო კუთხე ლამაზი და კეთილმოწყობილი უნდა იყოს, — ასეთია საჩხერელი კომუნისტების, ყველა მშრომელის სურვილი. რაიონის ცენტრი და სოფლები ხარაჩოების ტყეშია ჩასმული.

ვინც უკანასკნელ წლებში საჩხერეში არ ყოფილა, მას ვერც კი იცნობს, ქალაქმა მთლიანად იცვალა იერი.

რეკონსტრუქცია გაუკეთდა რკინიგზის სადგურს, ხოლო მისი წინა მოედანი გაფართოვდა, გაშენდა სკვერი, დაირგო ასწლოვანი ხეები. კიდევ უფრო დაამშვენა იგი მაღალმა კოშკმა, რომლის შიგნით მოწყობილია სავაჭრო ობიექტი. აქ დადგმულია დიდი აკაკის ძეგლი. მოედანი გაჩირაღდნებულია დღის სინათლის ლამპიონებით.

დამშვენდა ქალაქის მთავარი მაგისტრალი — ლენინის ქუჩა. მისი ორივე მხარე გაალამაზა დეკორატიულმა კედლებმა, რომლის მშენებლებმა დაიცვეს ძველი იმერული სტილი და კოლორიტი. ქუჩის ერთ-ერთ მონაკვეთში ლამაზად არის გაფორმებული აქ მოჩუხჩუხე ბუნებრივი ცივი წყარო, ხოლო ქუჩის ბოლოში გაშენდა სკვერი, სადაც აღიმართა რევოლუციის დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის ძეგლი.

გაახალგაზრდავდა ჭალარა „მოდი ნახეს“ პლატო. ციხის ქონგურზე დაიდგა აკაკი წერეთლის დიდი პორტრეტული ფიგურა, რომელიც ღამით პროჟექტორებით არის განათებული.

პლატო მალე საბაგირო გზით დაუკავშირდება ქალაქს. ციხის შემოგარენზე საფუძველი ჩაეყარა გამარჯვების პარკს, სადაც კარგად იხარა ნაირნაირმა მცენარეებმა და ყვავილებმა. პლატოზე შენდება პიონერული ქალაქი, რომლის სამი კორპუსი უკვე ასობით ბავშვს მასპინძლობს. აქვე აღიმართა ტელეანძა და ტელეგადაცემების ნახვის შესაძლებლობა მიეცა რაიონის მოსახლეობის 90 პროცენტს. ამ წლებში საჩხერელმა მშრომელებმა მიიღეს აგრეთვე კულტურის სახლის, კინოთეატრის, სასტუმროს განახლებული შენობები.

მშრომელთა მეორე საყვარელ დასასვენებელ ადგილად იქცა კომკავშირის ხეივანი. აქ შვიდასი



სტუმრები უკრაინიდან.

მაყურებლისათვის აშენდა საზაფხულო ესტრადა, ამჟამად მიმდინარეობს სტადიონისა და სხვა სპორტული ბაზების მშენებლობა.

ლამაზად ირთვება იმერეთის ზეგანზე გაშენებული კოპწია სოფლები. მთის სოფელი ჭალოვანი მოკლე საავტომობილო გზით დაუკავშირდა რაიონულ ცენტრს. სოფელ კორბოულს შეემატა მეორე საშუალო სკოლის ახალი სამსართულიანი შენობა. ახალ სასწავლო კორპუსებში გადავიდნენ ჭერევის საშუალო, არგვეთის, ორლულის, სავანის რვაწლიანი სკოლები; სარეკსა და ჯალაურთაში აშენდა საბავშვო ბაგა-ბაღები, ჩიხაში, სარეკსა და ქორეთში — ადმინისტრაციული შენობები...

— როგორ მოიპოვა რაიონმა ეს თვალსაჩინო ძვრები სახალხო მეურნეობის განვითარებაში?

— პარტიის რაიკომი მოხერხებულად იყენებს მშრომელთა აღზრდის ყველა საშუალებას, ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობის მრავალ საინტერესო ფორმას, ნერგავს მუშაობის ლენინურ სტილს, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ამკვიდრებს.

მუშაობის მთავარი ღერძია სოციალისტური შეჯიბრების სრულყოფა და ფართოდ გავრცელება. პარტიული ორგანიზაციები, როგორც წესი, წლის დასაწყისში იწვევენ ღია-კრებებს, სადაც გულდასმით განიხილავენ წლის მანძილზე გადასაჭრელ ამოცანებს, იღებენ კონკრეტულ ვალდებულებებს. რაიონის მშრომელთა ვალდებულებებს განვიხილავთ აქტივის კრებაზე ან მოწინავეთა რაიონულ შეკრებაზე.

რამდენიმე წელია სისტემატურად ვეჯიბრებით დიდი ილიას მშობელ კუთხეს — ყვარლის რაიონს, აგრეთვე ორჯონიკიძის რაიონს და, როგორც გაზეთებიდან არის ცნობილი, ხშირად გამოვდივართ გამარჯვებული. აკაკის მშობლიური რაიონი სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული აგრეთვე დიდი უკრაინელი კობზარის ტარას შევჩენკოს სამშობლო კანევის რაიონის მშრომელებთან. ეს შეჯიბრებაც სიმბოლურია, იგი აღაფრთოვანებს საჩხერის რაიონის მშრომელებს ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

მასების განწყობილებათა შესწავლის საქმეში ქმედით დახმარებას გვიწევს აგრეთვე სოციოლოგიურ გამოკვლევათა ჩატარება.

ახლა რაიონში საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში თითქმის ერთიორად მეტი ადამიანი მონაწილეობს. გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია ნეგატიური მოვლენების მკაცრმა დაგმობამ, მისი მავნე შედეგების ლიკვიდაციამ, მოწინავე გამოცდილების პროპაგანდამ, პატიოსანი მშრომელისადმი სათუთმა მოპყრობამ და სხვა ფაქტორების უნარიანმა, მიზანსწრაფულმა გამოყენებამ.

— შრომა გვიფასდება და ამიტომაც არ ვიზოგავთ თავს, — ბევრჯერ განუცხადებიათ სხვიტორის აკაკი წერეთლის სახელობის კოლმეურნეობის მევენახეებს გიორგი გელბახიანს და ნიკოლოზ კირვალიძეს, რომლებსაც ახლა ჰექტარზე 200 ცენტნერი ყურძნის მიღებაც კი ეცოტავებათ. მკლავმოუღლელად შრომობს ამავე კოლმეურნეობის მესიმინდე ვალიკო ჯაჯანიძე, რომელმაც შარშან ერთ ჰექტარზე 67 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა. სარეკის კოლმეურნეობის მწველავმა ნაზიკო აბრამიშვილმა გაპიროვნებულ ძროხებზე 18 ტონის ნაცვლად 23 ტონა რძე მიიღო და ყველა თანამოსაქმეს აჯობა რაიონში,,. ..

რამდენი ასეთი თავდადებული ადამიანი შრომობს ახლა მინდვრებში, ზვრებსა და ფერმებში. მათი მარჯვენის წყალობით რაიონი ორჯერ ზედიზედ გამოვიდა გამარჯვებული სოციალისტურ შეჯიბრებაში და დაჯილდოვდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით და ფულადი პრემიით.

— როგორია მომავლის გეგმები და პერსპექტივები?

— მიმდინარე ხუთწლედში რაიონის სამრეწველო საწარმოებს შეემატება კვარცის ქვიშის გამამდიდრებელი და უალკოჰოლო სასმელების ქარხნები, ბამბის ფაბრიკა, კერამიკული საწარმო. რეკონსტრუქციის შემდეგ ორჯერ მეტ პროდუქციას გამოუშვებენ ქვიშების მაღაროთსამმართველოს მოქმედი საწარმოები. გარდა ამისა, დაიწყება სხვიტორის მარმარილოს საბადოს დამუშავება.

სოფლის მეურნეობაში მთავარი ყურადღება მიექცევა მამაპაპურ დარგს — მევენახეობას. დიდ ფართობზე გაშენდება ახალი ვენახები.

თითქმის ორჯერ გაიზრდება ხორცისა და რძის წარმოება. საამისოდ მთავარ ყურადღებას დავუთმობთ სპეციალიზაციას. ჩიხის კოლმეურნეობაში მოვაწყობთ ხბორების გამოსაზრდელ კომპლექსს, ჯალაურთის კოლმეურნეობაში — სანაშენე დეკეულებისას, მოძვის საკოლმეურნეობათაშორისო მეცხოველეობის გაერთიანებაში შენდება სასუქი კომპლექსი 500 მსხვილფეხა პირუტყვისათვის, კორბოულის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის სარძეო კომპლექსი 800 ძროხისთვისაა გათვალისწინებული. რეკონსტრუქციის შემდეგ ორჯერ გაიზრდება საჩხერის მეფრინველეობის ფაბრიკის საწარმოო სიმძლავრე და ა. შ.

ახალი ძალით გავაჩაღებთ რაიონული ცენტრისა და სოფლების კეთილმოწყობის სამუშაოებს. ავაგებთ სპორტულ კომპლექსს, დავამთავრებთ კულტურის სახლის მშენებლობას, რომელსაც ექნება 600 ადგილიანი დარბაზი. საჩხერეს ექნება მხატვრული აღზრდის სახლი, ახალი პიონერთა სახლი, ქორწინების სახლი; იქმნება ძველ ბოლშევიკთა ხსოვნის ობელისკი, ლიჩის პიონერთა ბანაკის ტერიტორიაზე შენდება ხუთსართულიანი დასასვენებელი სახლი დამხმარე ნაგებობებით, სადაც ყოველწლიურად ასობით ბავშვი გაიკაჟებს სხეულს.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმა ითვალისწინებს, მეათე ხუთწლედში ყველა სოფელს ჰქონდეს კეთილმოწყობილი საავტომობილო გზა, საყოფაცხოვრებო სახლი, სპორტული მოედნები, წყალსადენი; ყველა ოჯახში იციმციმებს ცისფერი ეკრანი, აინთება ცისფერი ალი. სოფლის მშრომელთა ცხოვრება მომსახურეობის მხრივაც დაუახლოვდება ქალაქისას.

საჩხერის რაიონი წარმატებით იპყრობს ახალ ზღუდეებს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. მაჭავარიანის ფოტო

სოფელ სავანის მოწინავე მევენახე რებიკო დიდბერიძე.



იღბლიანი თევზაობა.



სოფელ ორლულის საფუტკრე.

მეღორეობის სასუქი კომპლექსის ხედი.



# მოსამართლის ერთი დღე



სახალხო მოსამართლე ნინო ნამორაძე კითხულობს განაჩენს.

ვიქტორ ჯაირანელის ფოტო

იგი ყოველთვის ასწრებს რიჟრაჟს.

სხვანაირად არც შეიძლება — ოჯახი თავისას მოითხოვს.

სახელდახელოდ ამზადებს საუზმეს, აწყობს სუფრას, სწრაფად ამთავრებს ათასგვარ წვრილმან საქმეს და დედაქალაქის ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლოსკენ მიეშურება.

მოსამართლე ნინო ნამორაძის კაბინეტში იწყება ჩვეულებრივი სამუშაო დღე.

ეს დღე ყოველთვის დაძაბული შრომით არის სავსე. ასეა, როცა საქმე ჭეშმარიტების დადგენას, კანონიერების დაცვას, ადამიანის ბედ-იღბალის გადაწყვეტას შეეხება, საბჭოთა მოსამართლემ დრო და უნარი, ნიჭი და ცოდნა, გამოცდილება და შრომა მაქსიმალურად უნდა დაძაბოს.

ნინო ნამორაძის კაბინეტში მუდამ ხალხმრავლობაა: მოდიან მოქალაქეები სხვადასხვა თხოვნით და შეკითხვებით, საკონსულტაციოდ, რჩევის მისაღებად, მადლობის გადასახდელად...

სასამართლო პროცესის დაწყებამდე საჭიროა ერთხელ კიდევ გულდასმით გადაავლოს თვალი გასარჩევ საქმეს, ერთხელ კიდევ დეტალურად აწონ-დაწონოს და გააანალიზოს თითოეული დეტალი...

სხვადასხვა საზოგადოებრივი დავალების შესასრულებლადაც ამთავითვეა საჭირო თადარიგის დაჭერა.

რა თქმა უნდა, არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ რუსთაველის თეატრში ახალი სპექტაკლის პრემიერაზე დასასწრებლად, დღეს დილით სამი ბილეთი სთხოვა ვაჟიშვილმა.

დაძაბულ შრომაში იწურება ყოველი დღე. ოცდახუთი წლის მანძილზე მოსამართლე ნინო ნამორაძე ასე ენერგიულად, ერთგულად, პრინციპულად და ძალის დაუზოგავად ემსახურება თავის საქმეს.

ეს საქმე ჭეშმარიტების დადგენაა.

ეს საქმე კანონიერების დაცვაა.

ეს საქმე ნინო ნამორაძისათვის, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის სიყვარული და მისდამი რწმენაა!

საქმიანი საუბარი.





ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო მოსამართლე ნინო ნამორაძე.



ნინოს მეგობარი ეწვია შინ.

ნინო ნამორაძე შვილთან.



# ჩვენი ქალები

საბჭოთა ქალი ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ყოველმხრივ სრულუფლებიანი წევრია; იგი დიდი სიყვარულით, პატივისცემით, ზრუნვით, მამაკაცთან შედარებით, ხშირ შემთხვევაში, გარკვეული პრივილეგიებითაც სარგებლობს.

საბჭოთა კავშირში ყველა სკოლის მასწავლებელთა თითქმის სამი მეოთხედი ქალია, ყოველი სამი ინჟინრიდან — ერთი ქალია, ყველა ოთხი ექიმიდან, რომლებიც ჯანმრთელობის დაცვას ემსახურებიან — სამი ქალთა სქესის წარმომადგენელია.

ნახევარ მილიონზე მეტი ქალი მუშაობს მშენებლობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო საწარმოების დირექტორებად, კოლმეურნეობების თავმჯდომარეებად, სხვადასხვა დაწესებულებების უფროსებად.

12,5 მილიონზე მეტი — ანუ 59 პროცენტი — უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე ყველა სპეციალისტიდან, რომლებიც სახალხო მეურნეობაში არიან დასაქმებულნი — ქალია.

გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების წევრთა შორის 1,5 მილიონამდე ქალია. ბევრ მათგანს მინიჭებული აქვს დამსახურებული გამომგონებლისა და დამსახურებული რაციონალიზატორის საპატიო წოდება.

ჩვენს ქვეყანაში ნახევარ მილიონამდე ქალი მეცნიერი მუშაკია; მათ შორის 3 ათასამდე აკადემიკოსი, სხვადასხვა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი და პროფესორია.

15 ათასზე მეტი ქალი შემოქმედებითი ორგანიზაციების — მწერალთა, კომპოზიტორთა, არქიტექტორთა, მხატვართა კავშირების წევრია.

დიდია ის წვლილი, რაც ქალებს შეაქვთ სახელმწიფო მმართველობის, კულტურის, სპორტის, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი წინსვლისა და აყვავების სფეროში.

ქალი ჩვენი შვილების — მომავალი თაობის აღმზრდელი დედაა, ქალი ოჯახის დედაბოძია, დაა, მეუღლეა, ჩვენი მშობელია.

ქალი სიყვარულის, ბედნიერების, სიკეთის, სიცოცხლის დაუშრეტელი წყაროა.

ნუ მოეშალოთ სიკეთე და ბედნიერება ჩვენს ქალებს, კიდევ უფრო ნათელი მომავლის აქტიურ მშენებლებს!

# კოლონტაის ღიმილი

როდიონ კორკია

რუსეთში გამარჯვების შემდეგ ოქტომბრის რევოლუციამ უკრაინაშიც გაშალა დროშა. ეს მოხდა 1917 წლის დეკემბრის თერთმეტს. ამ დღეს არჩეულ იქნა საბჭოთა უკრაინის სახალხო კომისართა საბჭო. იმავე დღებში მოსკოვიდან მისასალმებლად ჩამოვიდა რუსეთის ახალი მთავრობის დელეგაცია. დელეგაციაში იმყოფებოდა ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე ალექსანდრა კოლონტაი. მაშინ უკრაინის მთავრობა ქალაქ ხარკოვში იმყოფებოდა, რადგან უკრაინის დედაქალაქი — კიევი ჯერ კიდევ ცენტრალური რადის ხელში იყო....

სხვადასხვა მომქმედი ძველი პარტიების, პროფკავშირისა და ახალი მთავრობის შეხვედრა მოსკოვის დელეგაციასთან თეატრის დარბაზში მოხდა. შეხვედრას ხელმძღვანელობდა უკრაინის კომუნისტური პარტიის მეთაური — კოსიორი. როგორც მეექვსე კორპუსის დელეგატი, მეც დავესწარი ამ შეხვედრას.

დარბაზი დელეგატებით გაიჭედა. ზოგი დელეგატი პირდაპირ ფრონტიდან იყო — შაშხანები ეჭირათ ხელში. ზოგს კი, მატროსი თუ იყო,მარჯვენა მხარეზე რევოლვერი ეკიდა, მარცხენაზე — ორორი ყუმბარა (უეჭველად ორი).

პრეზიდიუმში ერთი საუცხოო სილამაზის ქალი იჯდა. დარბაზის ახალგაზრდობა თვალს ვერ ვაშორებდით მას. ვიკითხე და მითხრეს, რომ ის ალექსანდრა კოლონტაი არისო. ალექსანდრა კოლონტაის სახელი ადრეც გამეგო. იგი იყო ევროპისა და რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, რსდმპ VI ყრილობაზე ცეკას წევრად არჩეული, რუსეთის ახალი საბჭოთა მთავრობის წევრი და სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარი, იმდროინდელ პრესაში კოლონტაის სახელს ხშირად შეხვდებოდით. მაშინ კოლონტაი ორმოც წელს გადაცილებული იქნებოდა და მაინც ძალზე ლამაზად გამოიყურებოდა. ეცვა შავი ქვედა კაბა, ვარდისფერი, შავად დაწინწკლული ბლუზა (ყელამდე აწეული). ყელზე ჰქონდა ლურჯი ფერის პატარა „ბაბოჩკა“, მაშინ ასეთ ჰალსტუხს ატარებდნენ; სადა იყო ეს ჰალსტუხი და ლამაზი. თმა სადად და დიდი გემოვნებით ჰქონდა დავარცხნილი. სამკაულები არ ჰქონდა. კოლონტაის სამკაული მისი საოცარი სილამაზე იყო. ამ სილამაზემ და სისადავემ მოხიბლა დარბაზი, განსაკუთრებით ახალგაზრდა (შაშხან-ყუმბარიანი) ნაწილი.

ხოლო როცა კოლონტაიმ ხელჩანთა გახსნა და სახე გაიპუდრა, დარბაზს თან გაუკვირდა თან გაეცინა, რა დროს პუდრია?! სამი დღის წინ ქალაქის გარეუბნებში და შიგ ქალაქში („ხოლოდნაია გორაზე“) ქვემეხების გრიალი იყო. ეს მღელვარე მატროსები და დელეგატი-მუშები სისხლს ღვრიდნენ; ახლაც ღელავდნენ.

კოლონტაიმ დარბაზს დინჯად გადახედა. თვალი მოავლო მარჯვნივ, მარცხნივ, სიღრმეში და გაიღიმა.

გაიღიმა არა მარტო ლამაზმა ქალმა, არამედ რაღაც საოცარმა ძალამ. ამ ღიმილმა გადაუარა დარბაზს და ჩააჩუმა. მერე გავიგეთ (მაშინაც ბევრი მიხვდა), რომ კოლონტაისათვის სახის გაპუდვრა, სარკეში ჩახედვა, მხოლოდ კეკლუცობა როდი იყო. ეს იყო ორატორული ხერხი — იგი აუდიტორიასთან ამყარებდა კონტაქტს, გამარჯვების რწმენას უნერგავდა, იმედს უმტკიცებდა. კოლონტაი ყოველთვის იპყრობდა აუდიტორიას.

თავმჯდომარემ გამოაცხადა:

— სიტყვა ეძლევა საბჭოთა რუსეთის სახალხო კომისარს, ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრს, ევროპისა და რუსეთის მუშათა მოძრაობის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს, ალექსანდრა მიხაილოვნა კოლონტაის!

კოლონტაი ადგა. აუდიტორიაც აიშალა. იგი დინჯად გაემართა ტრიბუნისაკენ; ჩვენ ტაშს ვუკრავდით და თვალს არ ვაშორებდით მას. ტაში არ წყდებოდა. მაშინ კოლონტაიმ მარჯვენა ხელი ასწია, დარბაზი დამშვიდდა, ყველანი დასხდნენ.

არ შევუდგები კოლონტაის სილამაზის აღწერას. დე, ვინც ამ სტრიქონებს წაიკითხავს, თვად წარმოიდგინოს ცხოვრების ეს უდიდესი სიკეთე — ლამაზი ქალი.

ჩვენ სილამაზით და ლამაზი სიტყვით მოგვხიბლა კოლონტაიმ!

შეხვედრის დასასრულს ახალგაზრდების ერთი ჯგუფი სცენაზე ავედით და კოლონტაი გავიცანით.

ახლაც თვალწინ მიდგას მისი შუქიანი ღიმილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხრობა

ვანო ურჯუმელაშვილი

გორის ციხიესთან ოროთახიან პატარა ალიზის სახლში ვცხოვრობდით. დიდ ოთახში დედ-მამის, მომდევნო ძმის ოტიას საწოლები და ჩემი დის ნანას აკვანი იდგა. დიდედას და მე კი პატარა ოთახში გვეძინა.

ზამთრობით დიდედას დღედაღამ ეძინა. ზაფხულობით ზოგჯერ დილით თუ წამოდგებოდა, გარეთ გალასლასდებოდა, აივნის წინ სკამზე ჩამოჯდებოდა და მზეს ეფიცხებოდა.

მეხსიერებას არ ვუჩივი, მაგრამ დიდედას სახეს ვერა და ვერ ვიგონებ; მხოლოდ მოგრძო, ოდნავ ჩაჭრილი ნიკაპი მახსოვს. მისი მონაცისფერო შორსმჭვრეტელი თვალები, სადღაც შორიდან რომ იმზირებოდნენ, დღესაც თვალწინ მიდგას.

დიდედა ერთთავად ოხრავდა, წელს იტკიებდა, გულის ფრიალს უჩიოდა, ღამით საშინლად ახველებდა. ხველა რომ გაუვლიდა, ჩახრინწული ხმით აუცილებლად იტყოდა:

— ღმერთო დიდებულო, ვერ დაგემდურები, მადლობის მეტი რა მეთქმის, ოღონდ ერთს გემუდარები, შალვას ბედნიერებასაც შემასწარი!

დიდედა საოცარი გულმავიწყი იყო. მე და ოტია ერთმანეთში ვერეოდით. ერთხელ ნანაც დამიძახა. თავისი წლოვანება არ ახსოვდა — ხან გვარწმუნებდა ოთხმოცდაშვიდი წლისა ვარო, ხან კი თავს სამოცდაშვიდი წლისას გაიხდიდა.

დედა ამბობდა, წლებს რომ იკლებს, აბა ერთხელ მაინც მოიმატოსო; ამის ხნისა ქვა აღარ გორავს, ოთხმოცდაათს გადაცილებულიაო.

ერთ დღეს მამა შინ აღელვებული მოვიდა. მხრებში უფრო მოხრილიყო, თვალები ჩაწითლებოდა, შუბლი დანაოჭებოდა, დედა შეეკითხა, ასე ადრე რატომ დაბრუნდიო.

— ეჰ, ჩემო ტასო, დიდი უბედურება დაგვატყდა თავს, ომი დაწყებულა, პარკში ყვავილების მოსარწყავად ვიღას სცხელა, ხვალ კომისარიატში ვარ გამოძახებული!

იმ დღეს მამა გარეთ არ გასულა — ოთახში ბოლთას სცემდა, ხან გაშტერებული ფანჯრიდან სივრცეს გასცქეროდა.

ღამით მამასთან დავწექი. გვიანობამდე მესმოდა მშობლების ჩურჩული. დედა ჩუმად ტიროდა.

წყნარი დილა გათენდა. მზის სხივებში გახვეული ქადრის ატყორცნილი კენწეროები ბროლივით ბრწყინავდა.

მამამ ნასაუზმევს ჩანთაში საგზალი ჩაალაგა, აკვანში ჩაკრული ნანა გადაკოცნა, მერე ოტია აიყვანა ხელში, მკერდში ჩაიკრა. მე კი როგორც ტოლმა ტოლს, ხელი ჩამომართვა, აბა, ახლა შენ იცი და შენმა ვაჟკაცობამ, ოჯახს როგორ გაუძღვებიო.

ატირებულ დედასაც გადაეხვია, გადაკოცნა, ბოლოს დიდედასთან გავიდა.

—ბ ები, აბა, ჯანმრთელად იყავი, შორი გზით მივდივარ!

დიდედამ თვალები მყისვე გაახილა, თავი წამოსწია:

— საით გაგიწევია, შვილო?!

— ომში მივდივარ, ბები!

— რას ამბობ, ბიჭო, შენი წვრილშვილის პატრონს რა გეომება?! — ლოგინიდან წამოდგა. მიმქრალი თვალები მოელვარე, მკვირცხლი გაუხდა, მამას ისე დააშტერდა, თითქოს ცდილობდა, მისი სახე ღრმად, სამუდამოდ აღებეჭდა გულში.

— ღმერთო დიდებულო, ამ შავ დღეს რად შემასწარი?! — ქვითინით თქვა დიდედამ, მამას გადაეხვია, გადაკოცნა და პირჯვრის წერით გზა დაულოცა.

მამა რომ გავაცილეთ და შინ დავბრუნდით, დიდედა ფეხზე დაგვხვდა, სახლი დაეგავა და ჭურჭელს რეცხავდა.

მეორე დღეს დიდედამ ადგომა ყველას დაგვასწრო, თავი მხნედ, ყოჩაღად ეჭირა, თითქოს წელშიც გაიმართა, სმენაც მოემატა, თვალი გაუმჭრიახდა. იგი აკვანს მიუჯდა და დედას უთხრა, ნანას მე მოვუვლი, არაფერს მოვაკლებ, შენ საქმე არ გაკლია, ოჯახს მიხედე, ბავშვები ასაუზმეო.

დედამ საკონსერვო ქარხანაში დაიწყო მუშაობა. დილით რომ ვიღვიძებდი, იგი სახლში აღარ იყო. საღამოთი გვიანობამდე არ ვწვებოდი, მინდოდა დედას დავლოდებოდი, მაგრამ ძილი მერეოდა, ჩამეძინებოდა-ხოლმე და მის მოსვლას ვერ ვიგებდი.

დიდედა ჩაის გვიდუღებდა, გვაჭმევდა, გვასმევდა, ლოგინს გვიშლიდა, ნანას აკვანს ურწევდა, აძინებდა და შესახვევებს ურეცხავდა.

ახლა რომ მოიკითხავდნენ დიდედას, როგორა ხარო, პასუხობდა, არა მიჭირს, რა, ვცოცხლობ, ვსულდგმულობ, თუმცა მე რა საკითხავი ვარ, ადრე და მალე ომის კუბო მანახა, კაცები ოჯახებს რომ დაუბრუნდნენო.

ომს კი ბოლო არ უჩანდა. მტერი კავკასიონს უახლოვდებოდა, თან გაჭირვება, შიმშილი, მწუხარება მოჰქონდა. ბარათით აღებულ პურს სამ ნაწილად ვყოფდით, მე და ოტიას თითო ნაჭერს გვაძლევდნენ, მესამე ნაჭერს დედა და დიდედა ინაწილებდა.

მეზობლისაგან ყოველდღე ნახევარ ლიტრა რძეს ვყიდულობდით. ნანა ატირდებოდა თუ არა, დიდედა საწოვარით რძეს ალევინებდა.

დიდედა მირჩევდა დღეში სამი ჯერი მეჭამა, მე კი ჩემ წილ პურს დილითვე ვულევდი ბოლოს. მერე ბაღჩაში შეგროვილ მოჭრილ კომბოსტოს მურკს ვახრამუნებდი. მუცელი მებერებოდა, მაგრამ შიმშილს ვერ ვიკლავდი.

მეზობლის ქალმა, ვისგანაც რძეს ვყიდულობდით, ერთ დილით ხელცარიელი გამომისტუმრა, რძეს ველარ მოგცემთ, წუხელ ძროხა მოგვიკვდაო.

ახლომახლო ძროხა არავის ჰყავდა, ბაზარზე წყალწყალა რძეს ცეცხლის ფასი ედო.

...გაზაფხულის მოსვლა ვის არ უხარია, ვინ არ ნატრობს წელიწადის ამ საამო დროის მობრძანებას. ბუნების გამოღვიძება იმიტომაც მიხაროდა, რომ საზრდოს შოვნა ისე აღარ გვიძნელდებოდა. დიდედა ქალაქში გადიოდა და ღობის ძირებში ჭინჭარს კრეფდა. ერთხელ მეც წამიყვანა ჭინჭრის საკრეფად. რამდენიმე ძირი მოვგლიჯე და ხელები ისე დამესუსხა, კინაღამ ავტირდი. დიდედა კი წვრილ დამჭკნარ თითებს სწრაფად ამოძრავებდა, ჭინჭარს არ ერიდებოდა. მიკვირდა ნეტავი დიდედას ხელები რატომ არ ესუსხება-მეთქი. ჭინჭარს ძირში მოავლე ხელი და არ დაგსუსხავსო, მირჩია მან. ვცადე, მაგრამ უარესი დამემართა. სახლში რომ დავბრუნდით, ხელები ისე საშინლად მეწვოდა და მექავებოდა, ცრემლი მცვიოდა. დიდედამ ხელები ცივ წყალში ჩამაყოფინა, მაგრამ ამანაც ვერ მიშველა, გვიანობამდე ვშფოთავდი, ვბორგავდი, ფხანით კანს ვიგლეჯდი.

თოვლის დნობა დაიწყებოდა თუ არა, უბნის ბიჭებთან ერთად ბაღებში შივდიოდი. მოძრულ



მხატვარი თენგიზ სამსონაძე

კომბოსტოს ძირებსა და ბოლოს ვპოულობდით და შიმშილს იმით ვიკლავდით.

— ტასო, იმერეთში წავალ! — თქვა ერთხელ დიდედამ.

— რას ამბობ, ბები, უშენოდ რაღა მეშველება, ბავშვებს ვინ მიხედავს?! — ცრემლნარევი ხმით მიუგო დედამ.

— რა ვქნა, შიმშილით სახე შესიებული ბავშვების ყურება აღარ შემიძლია! ჰოდა, წავალ ჩემიანები ცოტა სიმინდის ფქვილს მომცემენ. გუშინ ჩვენებურები შემხვდნენ, ჩემი ძმისწული გიორგი ფეხმოჭრილი ჩამოსულა ომიდან; განგრენა დაწყებია, სასიკვდილოდაა გადადებული.

— რახან ასეა, წადი, ორ დღეს გავიჭირვებ, მაგრამ ამ ხნის ქალმა როგორ უნდა იმგზავრო?

— დარდი ნუ გაქვს, გზა-კვალი არ ამერევა, ოღონდ შალვა გამაყოლე, ხელი რომ მომკიდოს და წინ გამიძღვეს!

კვირა დილით მე და დიდედა მატარებლით გავემგზავრეთ.

ერთ სადგურზე ვაგონში შუახნის უსინათლო ქალი ამოვიდა. ხელში მიკნავებული ბავშვი ეჭირა. წინ ხუთიოდე წლის გოგონა მოუძღოდა. ორ ცეროდენა ბიჭს ქალისათვის კაბის კალთაში ჩაევლოთ ხელი. გოგო და ბიჭები ფეხშიშველები იყვნენ, დაძონძილი ტანსაცმელი ეცვათ.

შუა ვაგონში გაჩერებულ ქალსა და ბავშვებს ყველა გულისტკივილით შესცქეროდა.

გოგონამ ტირილნარევი ხმით თქვა:

— ფაშისტებმა ჩვენი მამა ომში მოკლეს, ძიებო, დეიდებო, გვშია, პური მოგვეცით!

გავოცდი, დიდედას ხმამაღლა ვუყვიროდი ხოლმე და ძლივს ვაგონებდი, გოგონას სიტყვები კი მშვენივრად გაიგონა. მყისვე წამოდგა, ბავშვს მჭადის ნატეხი მისცა, შუბლზე აკოცა და ცრემლნარევი ხმით თქვა:

— ღმერთო დიდებულო, ბედშავ ობლებს მოწყალებას ნუ მოაკლებ!

დიდედას სხვებმაც მიბაძეს და ობლებს ზოგმა მჭადის, ზოგმა პურის ნატეხი გაუწოდა.

მატარებელი სადგურებში დიდხანს ჩერდებოდა. მიმავალ-მომავალი სამხედრო ეშელონები გვისწრებდნენ, გვიქცევდნენ. ხაშურში მთელი საათი გავჩერდით. გვირაბი რომ გავიარეთ, უფრო დიდხანს გაგვაჩერეს, დიდედამ მჭადის ნატეხი მომცა, ჭამე, შვილო, მოგშივდებოდაო. დიდედა, შენც მიირთვი-მეთქი. ჩემი ღრძილებით მჭადს ვერ დავღეჭავ, შვილო, შენა ჭამე, მალე სოფელში მივალთ და პირს ღომით ჩავიგემრიელებთო.

ომამდე დიდედა ღომს ხშირად აკეთებდა ხოლმე. მამა, დედა, ოტია ცხელ ფაფაში ყველს ჩადებდნენ და გემრიელად შეექცეოდნენ. მე კი მჭადსა და ყველს ვამჯობინებდი.

ახლა ღომზე გემრიელი საჭმელი ქვეყანაზე არ მეგულებოდა.

შუადღე გადასული იყო, პატარა სადგურში რომ ჩამოვედით, დიდედამ ხელი ჩამავლო და წინ გამიმძღვარა. ოღროჩოღრო, საურმე გზით მივდიოდით, მალე მდინარეზე გადებული ბორი გადავიარეთ და მთაზე მიმავალ ბილიკს დავადექით.

მზე უმოწყალოდ გვაჭერდა, არაქათი გამომეცალა, შიმშილით თვალთ მიბნელდებოდა, წყურვილით პირი მიშრებოდა. მთა არც ისე მაღალი ჩანდა, მეგონა, ადვილად ავიდოდით, მაგრამ აღმართს ბოლო არ უჩანდა. ვფიქრობდი, დიდედას აღმართზე სიარული გაუჭირდებოდა, წარამარა დაისვენებდა, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ნამგალივით მორკალული მოხუცი, მართალია ბევრს ოხრავდა, მაგრამ თავჩაღუნული მიაბიჯებდა და დასვენებაზე სულაც არ ფიქრობდა.

აღმართი ავათავეთ და წიფლის ძირას ჩამოვსხედით. სახსრებმა შვება იგრძნეს, მაგრამ შიმშილით თვალთ მიბნელდებოდა. გზა რომ განვაგრძეთ, მუხლებში მეტი სისუსტე ვიგრძენი. ძირგამოხელებული ჩუსტები მეცვა და ნაშალი ფეხებს საშინლად მტკენდა. ვიწრო ორღობეში მივფრატუნობდით.

ორღობიდან რომ გავედით, ჩვენსკენ მომავალი სამგლოვიარო პროცესია დავინახეთ. ქალები საკაცეს მხრებით შესდგომოდნენ და წელში მოხრილნი მძიმედ მოაბიჯებდნენ. ისინი ერთმანეთს მალიმალ ენაცვლებოდნენ. გაუშალაშინებელი ფიცრებით შეკრულ, შავად შეღებილ კუბოში ხაკისფერ შარვალ-ხალათიანი შუახნის მამაკაცი ესვენა. სანთელივით გაყვითლებულ, დამჭკნარ სახეზე ჭაღარაშერეული ულვაშები დასეტყვილი ჯეჯილივით დაჰფენოდა.

პროცესიას ფეხშიშველა გოგო-ბიჭები მიუძღოდნენ, ხელში მიცვალებულის პატარა სურათი, და ყვავილის თაიგულები ეჭირათ. ცხედარს მგლოვიარენი მოსდევდნენ. მათთვის ახლობელ ქალებს ხელკავი გამოედოთ და ანუგეშებდნენ. მერე თეთრწვერულვაშა, ხელებაცახცახებული მოხუცი მოაბიჯებდა. სულ ბოლოს კი ყავარჯნებზე დაყრდნობილი ახალგაზრდა ცალფეხა კაცი მოდიოდა.

წინ მიმავალმა სახედაკაწრულმა ჭირისუფალმა წამიერად დიდედას გაუშტერა თვალი და ერთბაშად შეჰკივლა:

— დეიდა ნატო, დავიღუპე, აღარა მყავს გიორგი, შვილები დამიობლდნენ, დავქვრივოხერდი!

ზარდაცემული დიდედა აქვითინდა:

— ვაიმე, ვაიმე, მე უბედური, ამას რას შევესწარი, ამას რას ხედავს ჩემი თვალები! — კაბის კალთებზე ხელი შემოირტყა და ქვითინითა და მოთქმით ჭირისუფლებს აედევნა.

სასაფლაო თავქოჩორა ბუჩქებითა და მაღალი მცენარეებით დაფარულ გორაკზე იყო. ოთხ კუნთმაგარ ქალს დიდი ვაშლის ქვეშ სამარე გაეთხარათ და ახლა წვრილი თოკის ნაჭრებს მსხვილად გრეხდნენ.

პროცესია საფლავს რომ მიუახლოვდა, ქალები წამოეშველნენ და ცხედარი ფრთხილად დაასვენეს მიწაყრილზე.

ჭირისუფლებმა კუბოსთან ჩაიმუხლეს. სახედაკაწრული ქალი და დიდედა ზედ დაემხნენ. ორივე გულამოსკვნილად მოთქვამდა. საფლავის ირგვლივ თავმოყრილი მანდილოსნები და ბავშვები ქვითინებდნენ. ხელებაცახცახებულ მოხუცს და ცალფეხა კაცს ცრემლიანი თვალები ხახადაღებული სამარესათვის გაეშტერებიათ.

სახედაკაწრულმა ქალმა მიცვალებულს ერთხელ კიდევ დაატირა, მკერდზე ცრემლი დააყარა და სახეზე ეამბორა. ქალებმა იგი მიცვალებულს ძლივს მოწყვიტეს და განზე გაიყვანეს. დიდედაც ცხარედ ტიროდა, რაღაცას ჩიფჩიფებდა, ბოლოს მიცვალებულს ლოყაზე აკოცა. მესაფლავე ქალებმა კუბოს სახურავი ნაცარში მოგროვილი დამწვარი ლურსმნებით რის ვაივაგლახით დააჭედეს. მერე სახელურებთან საკაცეს ძირიდან დაკვანძული, სახელდახელოდ დაგრეხილი. თოკი ამოუგდეს, ოთხი დიაცი კიდევ მიეშველა და კუბო ციმციმად საფლავში ჩაუშვეს.

ხელებაცახცახებულმა მოხუცმა და ცალფეხა კაცმა სამარეს თითო პეშვი მიწა მიაყარეს.

ქალები ბარებს წაეტანენ. კუბოს სახურავზე გულისგამაწვრილებლად ახრიალდა გოროხები. საფლავზე გორა დადგა.

ორი დღის შემდეგ დიდედამ მითხრა, შვილო, ჩვენი წასვლის დრო დადგაო. მერე ხელცარიელები უნდა წავიდეთ-მეთქი, შევეკითხე. რას იზამ, გიორგი რომ ცოცხალი ყოფილიყო, ხელცარიელს არ გაგვიშვებდა. ჩემს რძალს კი ოთხი შვილი დარჩა გამოსაკვები და ძალაც რომ დამატანოს, ერთ მუჭა ფქვილსაც არ წავიღებო.

მე და დიდედას საუბარი ვინმემ გაიგონა, თუ ჩემმა კბილა ბიჭმა, რომელსაც გავანდე სიმინდის ფქვილის საშოვნელად ვართ ჩამოსულები-მეთქი, ეს ამბავი სოფელს მოედო.

მეორე დღეს ოციოდე ქალმა თითო ჯამი ფქვილი მოგვიტანა.

მე და დიდედამ სოფლიდან თხუთმეტიოდე კილო ფქვილი ჩამოვიტანეთ.

გადიოდა დღეები, თვეები... კავკასიონის მხრიდან სულ უფრო ნაკლებად ისმოდა ქვემეხების გრიალი. რაც უფრო შორს ინაცვლებდა ფრონტი, დედას მით უფრო მეტი სურსათი მოჰქონდა. სულ უფრო უკეთ ვიკვებებოდით. ამასობაში მეც წამოვიზარდე, ზაფხულობით საბჭოთა მეურნეობაში ვმუშაობდი და დღეში რვაას გრამ პურს ვღებულობდი.

დიდედას კვლავ მხნედ, ყოჩაღად ეჭირა თავი. ქალაში ჭინჭარსა და მხალს კრეფდა, მინდორში სატაცურს აგროვებდა. მეზობელ ქალებთან გორიჯვრის ტყეშიც წავიდა და თხილი და სოკო ჩამოიტანა.

ერთ დილით ქუჩიდან ყვირილი, ჟრიამული შემომესმა. მყისვე გარეთ გავვარდი. ქუჩები მოზეიმე ხალხით იყო სავსე. დიდი თუ პატარა ჰაერში ქუდებს ისროდა, ხმამაღლა შეწყობილად ყვიროდნენ: „გამარჯვება! გამარჯვება! გამარჯვება!“

მაშინვე შინისკენ მოვკურცხლე და დიდედას ვახარე, გავიმარჯვეთ-მეთქი. მოხუცმა მკერდზე მიმიკრა და გადამკოცნა.

ამის შემდეგ იგი ღმერთს სულ იმას სთხოვდა, ბარემ გიგას შინ დაბრუნებასაც მომასწარიო.

ღმერთმა არც ამაში გააწბილა მოხუცი — მამა ფრონტიდან დაბრუნდა.

მე და ოტია სიხარულით ვხტოდით, მამას ვეხვეოდით, ვკოცნიდით. ნანა ჯერ განზე იდგა, უნდობლად შესცქეროდა მამას, მერე ერთბაშად მივარდა, კისერზე ჩამოეკიდა, ენა დაიგრძელა და სიტყვის თქმა აღარ გვაცალა. დედა სიხარულით იცრემლებოდა, ჩვენ შემოგვცქეროდა და თვალში მოწოლილ ცრემლებს თავშლის ბოლოთი იწმენდდა.

რატომღაც მეგონა, მამაჩემის დაბრუნება ყველაზე მეტად დიდედას გაუხარდა. ჩათეთქვილი ბებრული სახე შეეცვალა, თითქოს ნაოჭები გაუქრა, თვალებში ნამტირალევი ბავშვივით ცრემლი უბრწყინავდა, ვერ გაიგებდით, ტიროდა თუ იღიმებოდა.

იმ საღამოს დიდედა ადრე დაწვა, სახსრები მტკივა, ძილი თავს მართმევსო. დილით ლოგინიდან არ ამდგარა. თვალდახუჭული იწვა, გახშირებით სუნთქავდა, ოხრავდა, კვნესოდა, ერთი-ორჯერ მისუსტებული ხმით ჩაილაპარაკა, რახან გიგა დაბრუნდა, ახლა შემიძლია ვიწვე და ვიძინოო.

დიდედა არც მეორე დღეს ამდგარა. რასაც არ უნდა შეკითხოდნენ, თანხმობასა თუ უარყოფას თავის მოძრაობით გამოხატავდა.

თვალცრემლიანმა დედამ დიდედას ჩასძახა:

— ბები, გამაგრდი, გიგა თბილისიდან პროფესორს ჩამოიყვანს, ნუ გეშინია, ახლა ისეთი კარგი წამლებია, უთუოდ მორჩები!

დიდედა ღონემიხდილი, გაძვალტყავებული სხეულით შეტოკდა, თვალი გაახილა, წამოწევას შეეცადა, მაგრამ ვერ შესძლო. დედამ ხელი შეაშველა და იგი ოდნავ წამოიწია. შეთხელებული ჭაღარა თმა გაბურძგნოდა, ღრმად ჩაცვენილი თვალებით თითქოს შორიდან იმზირებოდა. სასთუმალთან თავმოყრილ ჩვენი ოჯახის წევრებს სათითაოდ დაგვაცქერდა და მისუსტებული ხმით დედას უთხრა:

— გმადლობ, ჩემო რძალო, მოვლა-პატრონობისა და ნუგეშისათვის. ამ ხნის ქალი ვარ და კარგად ვიცი, რა არის სიკვდილი. თურმე სიკვდილსაც გული ჰქონია, ერთხელ ხომ შემიბრალა?! ახლა კი დადგა ჩემი აღსასრული! სამარეში იმედად მიმდევს, რომ ტყუილად არ მიცხოვრია!

დილით დედის ტირილმა გამაღვიძა. იგი დიდედას სასთუმალთან თავჩაღუნული იდგა და ქვითინებდა. იქვე იყო მამა, მალიმალ ხელს რომ ცრემლიან თვალებზე ისვამდა.

# ეღიშე ჩარენცი 80

ეროვნული ბიბლიოთეკა



საბჭოთა ლიტერატურაში მოძმე სომეხი ხალხის შვილს ეღიშე ჩარენცს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს.

ეღიშე ჩარენცი (სოლომონიანი) დაიბადა 1897 წელს ყარსში... 1915 წლის დამლევს ე. ჩარენცი მოსკოვშია. აქ იგი მოწმე ხდება რევოლუციური პროტესტებისა, რომელმაც წარუშლელი კვალი დაამჩნია მის შემოქმედებას. პირველი ნაწარმოებები, რომლითაც ჩარენცმა გაარღვია რომანტიკულ-სიმბოლისტური პოეზიის რკალი, არის პოემა „დანტესებური ლეგენდა“ (1916 წ.); პოეტი შეჩხარის სიცოცხლეს, მის ცხოველმყოფელობასა და სილამაზეს, მძაფრ პროტესტს უცხადებს იმპერიალისტური ომის ქარცეცხლში მოხვედრილ უდანაშაულო ადამიანთა ხოცვა-ჟლეტას.

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომელსაც ე. ჩარენცი თავის რევოლუციას უწოდებდა, შეცვალა პოეტის შემოქმედების იდეურ-თემატური შინაარსი; რევოლუციამ ჩარენცი მტკიცედ დააყენა სოციალისტური რეალიზმის პოზიციებზე.

სომხურ ლიტერატურაში ე. ჩარენცის მადლიანი კალმის წყალობით აბობოქრებული ხალხის მასები პირველად იჭრებიან ცხოვრების რევოლუციური გარდაქმნისათვის ბრძოლაში.

1918 წლიდან ჩარენცი კომუნისტური პარტიის წევრია და ოქტომბრის დიადი მონაპოვრის დასაცავად წითელი არმიის რიგებში იბრძვის. ამ დროიდან ჩარენცს ახალ იდეურ სიმაღლეზე აჰყავს მხატვრული აზროვნება და უაღრესად ნოვატორული ფორმებით ამდიდრებს მას. 1918-1921 წლებში ჩარენცმა დაწერა პოემები: „სომა“, „სიმღერა ხალხზე“, „გაშმაგებული მეამბოხენი“.

რევოლუციური პოემებითა და ლექსებით ჩარენცმა სომხურ ლიტერატურაში სათავე დაუდო სოციალისტური რეალიზმის დამფუძნებლების მ. გორკისა და ვ. მაიაკოვსკის სახელოვან ტრადიციებს.

სომხურ ლიტერატურაში ჩარენცი პირველია, რომლის პოეზიაში უდიდესი მხატვრული ძალითაა გააზრებული დიდი ლენინის სახე.

იდეური და სულიერი ჩამოყალიბების რთული ფსიქოლოგიური პროცესი დახატა ე. ჩარენცმა პოემაში „გლეხი საქოს თავგადასავალი“. ჯაფით წელში გაწყვეტილი საქო ვერ ამოსულა გაჭირვებიდან. მას არმიაში იწვევენ და მსოფლიო ომის ქარცეცხლში ხვევენ. დაჭრილი საქო თანდათან ფხიზლდება, მის შეგნებაში მტკიცდება ის აზრი, რომ გლეხობა თავისუფლებას მხოლოდ და მხოლოდ კომუნისტური პარტიის, ლენინის მიერ მითითებული გზით მოიპოვებს.

ე. ჩარენცის რევოლუციური პოეზიის ციკლიდან ამავე პერიოდს მიეკუთვნება ლექსები და პოემები, რომლებშიც პოეტს თავის უპირველეს ამოცანად დაუსახავს ვ. ი. ლენინის სახის მხატვრულად გამოქანდაკება.

ე. ჩარენცი უმღეროდა ვ. ლენინის დიდბუნებოვნებას, მის ადამიანურ თვისებებს; მაგალითად: „ლენინი“ (1924), „პარიზის კომუნარების კედელი“ (1925), „ბალადა ვლადიმერ ილიჩზე, გლეხკაცზე და ერთ წყვილ ჩექმაზე“ (1924), „ძია ლენინი“ (1924), „ლენინი და ალი“ (1925) და სხვ.

პოემაში „პარიზის კომუნარების კედელი“ პოეტი ილიჩს უწოდებს, ყველა ჩაგრულთა დიდ ქომაგს, რომლის თვალებში ხალხთა თავისუფლება ბრწყინავდა და რომელიც მთელი არსებით ადამიანების ბედნიერებისათვის იბრძოდა.

ლენინის თემაზე შექმნილ ნაწარმოებებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პოემას „ლენინი და ალი“. ავტორი გადმოგვცემს ტრაპიზონელი მენავის ალის ფიქრებს მოსკოვზე, რადგან იქ ვ. ი. ლენინი იმყოფება. ალი ნიადაგ მოსკოვის ნახვაზე ოცნებობს, მაგრამ ჯაფით ნაშოვნი გროშები ლუკმა-პურისათვის ძლივს ყოფნის, გამგზავრებაზე ოცნება ფუჭია... ავტორი დიდი უშუალობით გადმოგვცემს ილიჩის სიდიადეს და მისი გარდაცვალების გამო ალის გლოვას, რომელშიც უბრალო ადამიანების გულისნადებია ჩაქსოვილი. პოეტი აქ როდი სვამს წერტილს, ბოლო თავში აქცენტი ხვალინდელ დღეზე გადააქვს. იმ დღეზე, როცა ლენინის იდეებს ეზიარებიან მილიონობით ალის თანამოძმენი, სევდიან თხრობას ოპტიმიზმი ენაცვლება და ლენინისა და მისი მოძღვრების უკვდავების აზრი საზეიმოდ ჟღერს.

ვ. ლენინისადმი მიძღვნილმა ნაწარმოებებმა, ოქტომბრის სხივით გამთბარ რევოლუციურ პოემებთან და ლექსებთან ერთად, ე. ჩარენცის შემოქმედებაში ახლებური სუნთქვა შეიტანა, ახალი მხატვრული სახეებით გაამდიდრა და ამით ახალი პერსპექტივები და გზები გაუხსნა სომხურ სიტყვაკაზმულ მწერლობას. სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში ავეტიქ ისააკიანს, როცა წერდა: „ჩარენცი ოქტომბრის სოციალისტური ეპოქის ყველაზე დიდი პოეტია სომხურ სინამდვილეში, რომელმაც მრავალმხრივი გავლენა მოახდინა სომხურ ლიტერატურაზე“.

ე. ჩარენცს გატაცებით უყვარდა თავისი ერი. იგი ასევე პატივისცემით ეპყრობოდა სხვა ხალხებს; ეს გრძნობა მის ლექსებში უშუალოდ არის გადმოცემული. ჩარენცს გულწრფელად ახარებდა მისი ერივით ისტორიული ბედუკუღმართობით დაჩაგრული ქართველი ხალხის განთავისუფლება, საქართველოს ეკონომიკური და კულტურული აღმავლობა. ლექსში „გულითადი სიმღერა მოძმე საქართველოს“ (1936 წ.), იგი აღტაცებას გამოთქვამს, რომ შავი ღრუბლები გაქრნენ და მოძმე ქართველი ხალხისათვის სამუდამოდ გამოიდარა. ე. ჩარენცმა ქართველი ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციის ფუძემდებელს მიუძღვნა ბალადა „ბორის ძნელაძე“ (1931 წ.).

ეღიშე ჩარენცი იყო ტონის მიმცემი ამიერკავკასიის მოძმე ერების ლიტერატურულ მოღვაწეებთან სომეხი მწერლების მეგობრობისა და დაახლოებისა. საქართველოსთან ე. ჩარენცის მეგობრობა მრავალმხრივია.

ქართველ მწერლებთან შეხვედრებისას ე. ჩარენცს არაერთხელ უთქვამს: „ჩვენ უფრო კარგად უნდა ვიცნობდეთ ერთმანეთს, ვიდრე იცნობდნენ ვაჟა-ფშაველა და ოვანეს თუმანიანი“.

ეღიშე ჩარენცის კრებულები პირველად თბილისში დაისტამბა; მაგალითად: „ლურჯთვალა სამშობლო“ (1916 წ.), „დანტესებური ლეგენდა“ (1916 წ.), „სომა“ (1918 წ.), „გაშმაგებული მეამბოხენი“ (1919 წ.) და სხვ.

ახლახან სომხეთში გამოქვეყნდა ეღიშე ჩარენცის თანამებრძოლის მწერალ ვაჰან ალაზანის „მოგონებები“. ამ წიგნის ტიციან ტაბიძისადმი მიძღვნილ ნაწილში ვკითხულობთ: „ეღიშეს ძალიან უყვარდა ტიციან ტაბიძე და მის ბრწყინვალე პოეტურ ნიჭს მაღალ შეფასებას აძლევდა. 1934 წლის ზაფხულში, მოსკოვში, საბჭოთა კავშირის მწერალთა პირველ ყრილობაზე ძალიან გულთბილი, მეგობრული ატმოსფერო შეიქმნა ეღიშე ჩარენცს, პაოლო იაშვილს, ტიციან ტაბიძესა და ამ სტრიქონების ავტორს შორის. ყოველ საღამოს ლიტერატურულ საუბრებს ვაწყობდით... ჩარენცის ოთახი ერთგვარ „სალონად“ გადაიქცა. ამ შეკრებებზე განსაკუთრებით გამოირჩეოდა პ. იაშვილი მახვილსიტყვაობით და ტ. ტაბიძე — ლექსების თავისებური წარმოთქმით“.

ქართულად თარგმნილია ე. ჩარენცის რამდენიმე ლექსი და ნაწყვეტი პოემიდან. კოლაუ ნადირაძემ თარგმნა ნაწყვეტები პოემიდან „ურდოები გაგიჟებულთა“ (ჟურნ. „მნათობი“, № 2, 1935 წ.), დავით გაჩეჩილაძემ — ნაწყვეტები პოემიდან „მომავლის კალატოზებს“ („მნათობი, № 12); ბალადა „ბორის ძნელაძე“ ორჯერ არის თარგმნილი; პირველი ეკუთვნის ვალერიან გაფრინდაშვილს (1935 წ., „ლიტერატურული გაზეთი), მეორე — ალიო მირცხულავას (1957 წ., „ლიტერატურული გაზეთი“).

1935 წელს პროფესორმა ილია აბულაძემ პროზად თარგმნა ე. ჩარენცის პოემა „ნაირის ქვეყანა“.

1964 წელს პოეტმა ანდრო თევზაძემ თარგმნა ე. ჩარენცის ორი ლექსი — „გულითადი სიმღერა საბჭოთა საქართველოს“ და „სომხეთს“. იგივე ლექსი თარგმნა აგრეთვე პოეტმა მორის ფოცხიშვილმა.

საინტერესო მოღვაწე და ნოვატორი პოეტი ეღიშე ჩარენცი, მისი შემოქმედება და პიროვნება ყოველთვის ახლოს იდგა ქართველ ხალხთან, ქართულ კულტურასთან. იმედია, მომავალში უფრო დაწვრილებით იქნება შესწავლილი ეღიშე ჩარენცის ურთიერთობა საქართველოსთან.

არჩილ დავითიანი





ეროვნული ბიბლიოთეკა



ზურაბ დათუაშვილის ფოტო

- თბილისური მოტივი.
- დილა მშენებლობაზე.
- თბილისი. მეგობრობის პროსპექტი.

# სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენიდან





ეროვნული ბიბლიოთეკა

● ლ. ჯანაშია — ისინი მშვიდობიან ცას იცავენ.









● მ. ჯანიშვილი — ეპოქის მშენებლობა.

● ზ. წერეთელი — დაბრუნება.

● თ. რუბაშვილი — მშვიდობიანი გაფრენის წინ.

● ი. ვეფხვაძე — კულინარები.

● გ. მაისურაძე — გაცილება.



● ზურაბ დათუაშვილი — გაზაფხული.

# წინ დიდი გზაა...



თბილისი დღეს ქალთა მსოფლიო ჭადრაკის სატახტო ქალაქია — აქ ცხოვრობს მსოფლიო ჩემპიონი. ჩვენი პლანეტის არც ერთ ქალაქს არა ჰყავს მოჭადრაკე ქალთა ისეთი მძლავრი რაზმი, როგორც თბილისს. ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია, მაია ჩიბურდანიძე, ნანა იოსელიანი, ნინო გურიელი და ბევრი სხვა, რომლებიც ახლა იკვლევენ გზას დიდი ჭადრაკისაკენ. საკმარისია ითქვას, რომ ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მოჭადრაკე ქალთა ათეულში ხუთი თბილისელია.

ჯერ არ დამცხრალა შარშანდელ საკავშირო ჩემპიონატში ჩვენი ქალების ტრიუმფალური გამარჯვებით გამოწვეული ალტაცება, და აი, ახალი სასიხარულო ცნობა — თბილისელი მოსწავლე ნანა იოსელიანი გოგონათა შორის ევროპის ჩემპიონის თასის მფლობელია.

ნანა იოსელიანის ეს წარმატება კანონზომიერია იმ გამარჯვებათა რიგში, რაც ამ 16 წლის გოგონამ უკვე მოასწრო თავისი საჭადრაკო კარიერის მანძილზე. ორი წლის წინათ იგი თბილისის ჩემპიონი და ჩვენი ქვეყნის პროფკავშირთა პირველობის პრიზიორი გახდა, შემდეგ ამას მოჰყვა გამარჯვებები ტოლიატსა და პეტროზავოდსკში გამართულ სსრ კავშირის ჩემპიონატის ნახევარფინალებში და ბოლოს, 37-ე საკავშირო ჩემპიონატის ვერცხლის მედალი. ახლა ნანა იოსელიანის ტიტულებს ევროპის ჩემპიონობაც შეემატა.

ქართული ჭადრაკი ასეთ მიღწევებს უნდა უმადლოდეს ჩვენი ქალების ნიჭიერებასა და შრომისმოყვარეობას, მათი აღზრდისა და დაოსტატების სწორ სისტემას, რომელიც ვახტანგ ქარსელაძის სახელთან არის დაკავშირებული.

ვუსურვოთ ნანა იოსელიანს შემდგომი წარმატებანი •

ევგენი ბოგატი

## ე. კუზმინა-კარავაევას წერილებიდან ალექსანდრე ბლოკისადმი

# ამბავი ერთი სიყვარულისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვე თორმეტი წელია, არ მასვენებს ერთი ადამიანის ბედი. ვწერ წერილებს იმ ხალხს, ვინც მას იცნობდა, ვქექავ არქივებს, მივდევ მის კვალს, ვფიქრობ მასზე და სულ უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ გასაოცარი ხალხით მდიდარ ჩვენ საუკუნეში იგი ყველაზე საუცხოო ადამიანია. მე ვგულისხმობ ელიზავეტა კუზმინა-კარავაევას. პოეტ ქალს, რომელიც საფრანგეთის წინააღმდეგობის ისტორიაში დედა-მარიას სახელით არის ცნობილი.

მისი ამბავი პირველად საბჭოთა ჟურნალ-გაზეთებში ორმოცდაათიანი წლების დასასრულსა და სამოციანი წლების დასაწყისში გვამცნეს ლ. ლიუბიმოვმა, ა. ტვერიტინოვამ, ი. ერენბურგმა, ვ. სუხომლინმა.. იმ ხანებშივე მის ხსოვნას მიეძღვნა „ნიკიტინას შაბათობა“, სადაც ელიზავეტა კუზმინა-კარავაევაზე თავიანთი მოგონებები გაგვიზიარეს მისმა გიმნაზიელმა მეგობრებმა ი. მოშკოვსკაიამ და პარიზის ანტიფაშისტურ-არალეგალურ საზოგადოებაში მასთან ერთად მომუშავემ, ბუხენვალდის ყოფილმა პატიმარმა ი. კრივოშეინმა.

ელიზავეტა კუზმინა-კარავაევას ცხოვრებაში მეტად დიდი ადგილი ეჭირა ალექსანდრე ბლოკს.

დედა-მარიაზე ჩემს პირველ წერილში (1965 წლის სექტემბერი), მე ავღნიშნე, რომ სწორედ მას უძღვნა პოეტმა ლექსი: „როცა მე გზაზე გადამიდექით, ასე ლამაზი, სიცოცხლით სავსე...“

ეს ლექსი ბევრისთვის ცნობილი და საყვარელი ლექსია. მკითხველს ვთხოვ, ხელახლა გადაიკითხოს იგი: „როცა მე გზაზე გადამიდექით, ასე ლამაზი, სიცოცხლით სავსე, თუმცა ნატანჯი და ნაწამები, ფიქრობთ სიკვდილზე და არ გიყვართ ქვეყნად არავინ, არად აგდებთ თქვენს სილამაზეს — მე რა ვქნა? განა ძალმიძს გული დაგწყვიტოთ? მე ხომ არა ვარ მოძალადე, მატყუარა და ამპარტავანი. თუმცალა ვიცი ბევრი რამე, ბალღობიდანვე მიფიქრია, მიგრძვნია ბევრი, და ჩემი თავით ვარ გართული მეტისმეტადაც. მე ხომ მთხზველი ვარ, კაცი, ყველაფერს თავის სახელს მუდამ რომ არქმევს, ცოცხალ ყვავილსაც სურნელს რომ ართმევს. ჰოდა, რამდენიც არ უნდა თქვათ, ილაპარაკოთ ნაღვლიანსა და სევდიანზე, იფიქროთ ყოვლის დასაბამსა და დასასრულზე, მაინც გავბედავ და ვიფიქრებ, რომ ხართ მხოლოდ თხუთმეტი წლისა. ამიტომაც მე ვისურვებდი, შეგყვარებოდათ უბრალო კაცი, რომელსაც უყვარს ეს ცა და მიწა უფრო მეტად, ვინემ სიტყვა გარითმულ თუ გაურითმავ ცა და მიწაზე. ღმერთია მოწმე, რა ძალიან გავიხარებდი, რამეთუ მიჯნურს, მხოლოდ მიჯნურს აქვს უფლება, რომ დაერქვას ადამიანი“.

1936 წელს ელიზავეტა კუზმინა-კარავაევამ პარიზში გამოაქვეყნა მოგონებანი ალექსანდრე ბლოკზე, ვით ნახა და მოისმინა იგი პირველად ერთ ლიტერატურულ საღამოზე; ვით განაცვიფრა მისმა ლამაზმა სახემ, აღუშფოთებელმა და თითქოს ქვიდან გამოძერწილმა, მისმა ლექსებმა, სადაც „ამდენი ნაღველი და უიმედობა იგრძნობოდა, სადაც ჟღერდა მრავალი ხმა შემზარავი პეტერბურგისა, იდგა ნისლი, წითელი ნისლი და იგრძნობოდა სულის ხუთვა ქალაქისა“.

მერე ხელში ჩაუვარდა ბლოკის ლექსების კრებული და მიხვდა. რომ მხოლოდ და მხოლოდ მას შეუძლია იხსნას იგი სულიერი ფორიაქისაგან; იგი წავიდა ბლოკთან, გალერნაიას 41-ში, მაგრამ პოეტი შინ არ დახვდა. მივიდა მეორედ, კვლავ ვერ ნახა, მესამედაც ვერ შეისწრო. აღარ ჯამობრუნებულა, დაელოდა პატარა ოთახში. კედელზე ეკიდა მენდელეევის ვეებერთელა სურათი, აქ სამაგალითო წესრიგი სუფევდა, საწერი მაგიდა მოცარიელებული იყო, თითქოსა და პოეტთან კი არა, ქიმიკოსთან იმყოფებოდა. აი, შემოვიდა პოეტი... და მანაც მაშინვე სულმოუთქმელად გადმოულაგა, რა ნაღველი შემოსწოლოდა, რა უაზრო ეჩვენება ეს ცხოვრება და რარიგ სწყურია რაღაც დიდი მოიმოქმედოს. „იგი დინჯია, გულისხმიერი, მოკრძალებული, ესმის შენი... თითქოს ვერც ამჩნევს, რომ ასაკით პატარა ხარ“.

ელიზავეტა მაშინ თხუთმეტი წლისა იყო. ამას მხოლოდ იმიტომ ვამბობ, რომ ღირსეულად შევაფასოთ მოგონებათა შემდეგი სტრიქონები: „...დიდხანს ვისაუბრეთ... ისე კარგად ვგრძნობ თავს, თითქოს შინ ვიყო, თუმცა ბევრი რამ ვერ გამიგია. ვგრძნობ კია, რა დიდი ადამიანი მიზის გვერდით, ჩემზე მეტად ვატანჯული იმითი, რომ უაზრობა არ გამქრალა, არ მოსპობილა. მიკვირს მისი საოცარი გულისხმიერება, რაღაც ნაზი სიფრთხილე, მე საშინლად მეცოდება დიდი ადამიანი, ფრთხილად ვანუგეშებ, ვინუგეშებ საკუთარ თავსაც.

უცნაური გრძნობაა. გალერნაიადან წამოსვლისას იქ დავტოვე ჩემ სულის ნაწილი. ეს არ არის ბავშვური სიყვარული. გულს შემომაწვა უფრო დედური შფოთვა და ზრუნვა. ამასთანავე სიმსუბუქე და სიხარული, რა კარგია, რომ არის ქვეყნად ასეთი დიდი ნაღველი, ასეთი დიდი სიცოცხლე, ასეთი დიდი გულისხმიერება, ასეთი დიდი სული...

ერთი კვირის შემდეგ წერილი მივიღე. საოცარი კონვერტი იყო, ხასხასა ლურჯი. მტკიცე ხელით ნაწერი, არცთუ მსხვილი ასოები, მაგრამ ხალვათად გამოყვანილი, სტრიქონებს შორისაც ხალვათობაა. წერილში ლექსი იყო: „როცა მე გზაზე გადამიდექით...“

იულია მოშკოვსკაიას მოგონებათა მიხედვით (სამწუხაროდ, ისინი ჯერ არ გამოქვეყნებულა), ეს ლექსი ძალზე სწყენია ლიზას ძალზე გაბრაზებულა, იმდენად რომ რამდენიმე წელი ბლოკს აღარც გაკარებია...

რატომ?! რამ გაანაწყენა?! იულია მოშკოვსკაია ამ განაწყენებას ლექსის „დამრიგებლურ კილოს“ მიაწერს: ქალიშვილს, ვისაც დედური ზრუნვით აევსო გული, დიდად ეწყინა, ასე ბავშვივით როგორ მოექცნენ...

ელიზავეტა 1910 წელს მეორედ გაეცნო ბლოკს, როცა უკვე გათხოვილი იყო; გაეცნო ტენიშევის სასწავლებელში ფილოსოფოს ვ. სოლოვიევის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე, გაეცნო უცნაურ ვითარებაში. მისი ქმარი დ. ვ. კუზმინი-კარავაევი პეტერბურგის საზოგადოებაში ცნობილი იურისტი, ესთეტი, ვ. ივანოვის „კოშკის“ მუდმივი სტუმარი გახლდათ. უმაწვილი ცოლისათვის რომ ეამებინა, თამბაქოს მოსაწევი ოთახიდან დაბრუნებულმა, ფოიეში წამოდიო, ალექსანდრე ბლოკს და მის ცოლს გაგაცნობო, უთხრა; ელიზავეტამ გადაჭრით იუარა წასვლა. ქმარი წავიდა, ხოლო თვითონ სადღაც კუთხეში მიიკუჭა. ქმარი მაშინვე მობრუნდა და ალექსანდრე და ლუბოვ ბლოკები მოიყვანა. იგი იმწამსვე მიხვდა, რომ ბლოკმა იცნო...

იგორ კრივოშეინმა (იგი დედა-მარიასთან ერთად იბრძოდა ანტიფაშისტურ რიგებში) კუზმინა-კარავაევას მოგონებანი რომ წამაკითხა ბლოკზე (ეს მოგონებანი მერმე ტარტუს უნივერსიტეტმა გამოაქვეყნა), მე ვკითხე: მაშ უყვარდა-მეთქი ბლოკი? „რა თქმა უნდა, უყვარდა, — მომიგო ი. კრივოშეინმა, — ალბათ არანაკლებ, ვიდრე იურა“ (კუზმინა-კარავაევას ვაჟი, იურა სკობცოვი დედას ეხმარებოდა ანტიფაშისტურ ბრძოლაში. ისინი ერთად დაიჭირეს პარიზში. იურა ბუხენვალდში დაიღუპა).

რამდენიმე თვის შემდეგ იგორმა დამირეკა: „ბლოკის არქივში ელიზავეტას წერილები ვიპოვე, აუტანელი ხელითაა ნაწერი, მთელი ეს ხანი დღისით და ღამით მათ ვარჩევდი...“

პირველი წერილი 1912 წლის 24 აპრილითაა დათარიღებული, გაგზავნილია საავარაკო ქალაქ ნაუგეიმიდან (გერმანია).

„...თუ შევიძელ, მინდა გაგახაროთ და მოგწეროთ იმაზე, რაიც თქვენთვის აქ ნაცნობია. ცოცხლობს და ბერდება იგი... ტბაზე გედები და-

ცურავენ. პატარა კუნძულზე კი თეთრი ფრინველი ზის კვერცხებზე და პატარა გედებს ჩემს აქ ყოფნაში დაჩეკს... ძალიან, ძალიან მინდა გაგახაროთ და სალამი გამოგიგზავნოთ იმისაგან, რაც აქ გიყვარდათ“.

როგორც ცნობილია, ნაუგეიმს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბლოკის ცხოვრებაში. ეს მას არაერთხელ უთქვამს (უთქვამს ელიზავეტა იურევნასთვისაც 1910 წელს). იმდროინდელი ტერმინოლოგიის მიხედვით ბლოკი ამ ადგილს საოცარ მისტიკურ განცდათა ადგილს უწოდებს. მაგრამ მარტო მისტიკას როდი მიეწერება ეს ამბავი, კუზმინა-კარავაევას არასოდეს ჰყვარებია მისტიკა. აქ, ამ ქალაქში პოეტს უყვარდა: აქედან სწერდა იგი წერილებს თავის მომავალ ცოლს, აქ უძღვნა მას ლექსები. ბლოკის ლექსებში ორჯერ გვხვდება ხატი „თხუთმეტი წლის გოგონასი“: ერთი იყო ლუბოვ მენდელეევა, ხოლო მეორე — ლიზა პილენკო.

იქნებ იმიტომ გაემგზავრა ელიზავეტა ნაუგეიმში, რომ ეს ქალაქი ბლოკის ფიქრებისა და გრძნობების, მისი ლექსების ქალაქი იყო?!.

მეორე წერილიც ნაუგეიმიდან არის გამოგზავნილი, მესამე კი — მოსკოვიდან; ბლოკმა იგი 1913 წლის 28 ნოემბერს მიიღო: „მეც არ ვიცი, როგორ მოხდა, თქვენ რომ წერილს გწერთ. მთელი ეს დღეები თქვენზე ვფიქრობდი და დღეს გადავწყვიტე, უთუოდ მომეწერა. ის კი მაწუხებს, ვაითუ ვერ მოვძებნო ნამდვილი სიტყვები, მაგრამ მჯერა, თქვენ გამიგებთ...

ჯერ ამას ვიტყვი: როცა სულ პატარა გოგო მოვედი თქვენთან, მაშინ მივხვდი, რომ ეს სამარადჟამო იყო... მერე კი ცხოვრება სპირალივით დაეხვია... არ მინდა ჩემზე მოგწეროთ, იმიტომ რომ ჩემთვის არა ვწერ. ოღონდ მინდა აგიხსნათ: შეიკვრებოდა სპირალის წრე და რაღაც უცნაური განგების ძალა ხელახლა თქვენთან მაბრუნებდა.

ქმარს გავეყარე, გარდა ამისა, სამძიმო სხვაც ბევრი შემხვდა... ნაუგეიმში ყოფნის ხანა ყველაზე დიდი გარდატეხის, ყველაზე დიდი ბრძოლის ხანა იყო და მე იგი თქვენი სახელით ვძლიე. მერე კი იყო წლები სრული მარტოობისა; შავი ზღვის პირას მიყრუებული სახლი და.. იყავით თქვენ, მხოლოდ თქვენ. შემდეგ ცოტა მიწას დავუახლოვდი, ხელახლა შევიყვარე, შევიყვარე კაცი, მართლა შევიყვარე. შევიყვარე იმიტომ, რომ ვიცოდი, თქვენა ხართ ქვეყნად. ახლა კი ერთი თვეა გოგონა შემეძინა, მე მას გაიანა-მიწიერი დავარქვი, მე მას შევხარი, ვინაიდან... თქვენთვის ასეა საჭირო. ახლა ორნი ვართ მოსკოვში, მერე მამამისთან ერთად ვიცხოვრებთ. შემდეგ რა მოხდება, არ ვიცი, მაგრამ ვგრძნობ, თავს ვერ მოვიტყუებ, ბედისაგან ჩემთვის ნარგუნები ეს გზა რაღაც გარდუვალია; იგი თქვენთვისაა საჭირო. მე არ ძალმიძს თქვენი დავიწყება, რადგან კარგად ვგრძნობ, მე რომ მხოლოდ პაწაწკინტელა დანართი ვარ ცხოვრებაში თქვენთვის შემოსული ძალისა. მე თვითონ კი აქ არაფერ შუაში ვარ“.

იგი წერს ბლოკს: „თქვენ უფრო დიდი ხართ, ვიდრე ადამიანი, ვიდრე პოეტი... გამოვგზავნი ამ წერილს და მერე ვითვლი ალბათ საათებს თქვენი პასუხის მოლოდინში, წერილი მივიღეო“.

ბლოკმა საპასუხო წერილი 1913 წლის 1 დეკემბერს გაუგზავნა:

„ელიზავეტა იურევნა, მე არ მინდა მარტო ის შემოგითვალოთ, თქვენი წერილი მივიღე-მეთქი. მე მჯერა ამ წერილის, მადლიერი ვარ მისი და გიკოცნით ხელებს. სხვა სიტყვები ვერ გამოვნახე და იქნებ დიდხანს ვერც გამოვნახო...“

ე. კუზმინა-კარავაევამ მხოლოდ 1914 წლის 19 იანვარს გამოუგზავნა შემდეგი წერილი ბლოკს; ეს ძალზე მშრალი და საქმიანი წერილია. მას სურს, ბლოკის აზრი გაიგოს მისი ლექსების მეორე წიგნის ხელნაწერის თაობაზე (პირველი წიგნი გამოსული იყო და იგი ბლოკს არ მოეწონა); მხოლოდ წერილის ბოლოს ხაზგასმულია სიტყვები: „მე ბევრს ვფიქრობ თქვენზე“.

1914 წლის 15 თებერვალს იგი ისევ უგზავნის წერილს: „მე წავიკითხე თქვენი შენიშვნები არეზე და იმ ნათელი, გარკვეული, თითქმის მუდამ ტექნიკური სიტყვების მიღმა მეცნო ის, რამაც მაიძულა მომეწერა თქვენთვის წერილი, და რაც კიდევ ბევრჯერ, თითქმის ყოველთვის მაიძულებს ვიფიქრო თქვენზე...

აი, ახლა კვლავ მწამს და ვიცი, რომ ეს ჩემი უკანასკნელი წერილია და კარგა ხანს აღარ გამოგიგზავნით. არც პასუხს დავუწყებ ლოდინს. ზაფხულში მე გავემგზავრები, ვიცხოვრებ სხვისი ცხოვრებით, ვილაპარაკებ რევოლუციასა და ტერორზე, ნადირობასა და ბავშვის აღზრდაზე, ჩემს სიყვარულზე იმ ადამიანისადმი, ვისთანაც ჩავალ... და ვიფიქრებ თქვენზე. ასე იქნება კიდევ დიდხანს, დიდხანს და დიდხანს“.

კარგა ხანს მართლაც აღარ მიუწერია წერილი; მიწერა მხოლოდ მაშინ, როცა პეტროგრადში დაბრუნდა, იმ ქალაქში ,სადაც ბლოკი იყო; მიწერა ტელეფონით მძიმე საუბრის შემდეგ, როცა მოეჩვენა, რომ ბლოკს რაღაცაში მისი არ სჯერა. ეს ყველაზე მგრძნობიარე წერილი გახლავთ. შინაურებმა „ხუმრობით“ გადაწყვიტეს გაერკვიათ, ვის ელაპარაკებოდა იგი ტელეფონით... „მეწყინა იმიტომ, მეტისმეტად ვუფრთხილდები ჩვენს დამოკიდებულებას, დიდად ნაზსა და ალბათ ამიტომაც კრძალვით სავსეს (იმდენად თქვენ წინაშე არა, რამდენადაც საკუთარი თავის წინაშე)“.

1916 წლის (10 ივლისს) ზაფხულში იგი მეორედ გარბის „ზღვისაკენ“, „მიწისაკენ“ და წერილს უგზავნის ანაპის ახლო მდებარე ჯენეტის დაბიდან. „მე თუ თქვენი ლექსები მიყვარს, მე თუ თქვენ მიყვარხართ, მე თუ მწადია ხშირად გნახოთ — ეს არაა მთავარი, არაა ის, რაც მაიძულებს ვირწმუნო, ჩვენ რომ რაღაც გვაკავშირებს...

საყვარელო ალექსანდრე ალექსანდროვიჩ, მთელი ჩემი სინაზე თქვენდამი, ეს დიდი და ძლევამოსილი გრძნობა — ყოველივე მინიშნებაა რაღაც ნათესაობისა, რაღაც ერთიანობისა... როცა თქვენ ომში მოგიწევთ წასვლა...“

ბლოკმა პასუხად რამდენიმე სტრიქონი გაუგზავნა. ეს პოეტის უკანასკნელი წერილი იყო: „მე ახლა საერო-საქალაქო კავშირის მე-13 რაზმის მეტაბელე ვარ. ომში თურმე მოწყენა სუფევს... დაძაბულობის ჯოჯოხეთი . თქვენი სიყვარული კი აღარ ეძებს ჩემთვის ახალ და ახალ საბრძანებლებს. ალექსანდრე ბლოკი“.

ამ სტრიქონებმა ქალი შესძრა.

„ჩემო ძვირფასო, საყვარელო, თქვენი წერილის შემდეგ აღარ ვიცი, ვცხოვრობ კია ცალკე ცხოვრებით, თუ ყველაფერი, რაც გამაჩნია, თქვენშია გადმოსული. ყოველი ძალა ჩემი სულისა: ნებისყოფა, გრძნობა, გონება, სურვილები თუ ფიქრები—ყველაფერი გაერთიანდა და ყველაფერი თქვენკენ ისწრაფვის. მე მგონი, მკვდრეთით აღგადგენდით, გაგაცოცხლებდით, ისე იოლია მთელი ჩემი სიცოცხლის თქვენში გადმოღვრა“.

ხოლო ექვსი დღის შემდეგ: „ალბათ მიიღეთ ჩემი პასუხი თქვენს წერილზე. ახლა ისევ გწერთ, ვინაიდან ასე მგონია, რამდენადაც შეიძლება ხშირ-ხშირად უნდა გწეროთ“...

ერთი თვის შემდეგ, 1916 წლის 27 აგვისტოს: „დავფუსფუსებ და დავფუსფუსებ მთელი დღეები, თითქოსდა ასე უნდა ჩაიაროს ცხოვრებამ. მაგრამ ამას განზრახ ჩავდივარ... ეს ყველაფერი გაცილებით უფრო მოჩვენებითია, ვინემ ყველაზე დავიწყებული სიზმარი, მაგრამ ვიცი კი მტკიცედ, რომ ამქვეყნად ნამდვილად ხართ მხოლოდ თქვენ და ჩემი გოგონა... ამ მოჩვენებით ქვეყანაში ისეთი არაფერია, რაც თქვენთან არ იყოს დაკავშირებული. თითქოსდა ყოველი ნაბიჯი თქვენთვისაა გადადგმული“.

...დედა-მარიას ბიოგრაფებს დღესაც აოცებთ: რამ მიანიჭა ამ ქალს ამდენი ძალა, ამდენი მოხერხება — მოეწყო უმუშევართა და სნეულთა სახლები, იაფი სასადილოები, მცირე თანხით დიდი საქმეები ეტრიალებინა?!

„ჩვენთან ახლა მზე უხვადაა, — წერდა იგი ბლოკს ანაპიდან 1916

# მე ქართველის მიწაზე ვიქნები...

თამარ მეფარიშვილი



თამარ მეფარიშვილი ქართული ლიტერატურის სიყვარულით ცხოვრობდა. იგი წლების მანძილზე „კომუნისტის“ რედაქციის კორექტორი იყო. კითხულობდა და ასწორებდა, შეილივით ესათუთებოდა გაზეთის თითოეული ნომრის დაბადებას. ისე წავიდა ჩვენგან, არავისთვის მოუხვევია თავზე საკუთარი ნააზრევი. ამ უპრეტენზიო და ჭეშმარიტად პოეტი ქალის ლექსებიდან უდაოდ შეიგრძნობა შემოქმედის თავისებურება, სიცოცხლისადმი მძაფრი სიყვარული და ქართველი ქალის კდემამოსილება.

გრიგოლ ჯულუხიძე.

●

ქვა რად დაადეთ კვდომის დასტური,
გაუძნელდება გაფრენა ცაში,
აწყდება კედლებს სევდის ნაღური,
სიცოცხლის შუქი ვერ ატანს ქვაში.

სიმღერა ბორგავს დალეწილ ფრთებით,
ხიმღერა — მისი სულის ქარქაში...
ფიქრი თუ გაწყდა...
ეს საუკუნე
ვერ გაეტევა გაწყვეტილ ხმაში.

ქვა რად დაადეთ სულს სამეჯლისოს,
გაუძნელდება გაფრენა ცაში.

## ნუ გამიწყრები

მე მეშინია იმ გაზაფხულის...
ვერ დამიკოცნის თვალებს ფერები,
მე მეშინია მიწის იმ გულის,
სადაც უგონოდ ჩავესვენები.

წლის 14 ოქტომბერს, — მაგრამ მერე რა. მე ვბორიალობ, ვბორიალობ, თითქოს საზიდარში შებმული ცხენი ვიყო და მერეკებოდნენ... მე თქვენდამი ბევრი რამ შემეცვალა: აღარა მაქვს ის წინანდელი აღგზნებული აღმაფრენა, ყველაფერი უფრო მშვიდი და მტკიცე გახდა, შეურყეველი — ვინძლო უფრო გაუბრალოვდა. ძვირფასო, ძვირფასო ჩემო, ყოველგვარ შემთხვევითზე უფრო მკვიდრო, სიხარულსა და ნაღველზე უფრო მეტო- თქვენ ჩემი ყველზე დიდი სიხარული ხართ; და მე ვნაღვლობ თქვენზე... ნეტავ სადა ხართ ახლა? როგორ ხართ?“

უკანასკნელი წერილი (1917 წლის 4 მაისს) პეტროგრადიდან მიწერა ბლოკს (ეს მისი მეორე „ადგილობრივი“ წერილი იყო): „...ძალზე მალონებს, რომ ვერ განხეთ. ახლა ისევ მივემგზავრები და არც ვიცი, როდის ჩამოვალ“.

იგი ისევ სამხრეთით გაემგზავრა და იქიდან აღარ დაბრუნებულა.

აღარ მოვყვები დაწვრილებით ამ ქალის შემდგომ ბედზე, მასზე ხომ მონოგრაფიები და რომანებია დაწერილი. შევჩერდები მხოლოდ იმ ამბებზე, რაც ბლოკს შეეხება. ბლოკის სიკვდილი მან იუგოსლავიაში შეიტყო (სადაც სამ შვილთან და მეორე ქმართან ერთად იმყოფებოდა და ძალიან უჭირდა), მისი მწუხარება უსაზღვრო იყო.

...დედა-მარიამ პარიზში, ლურმელის 77-ში სახლი დაიქირავა (სახლში 48 ოთახი იყო).

პარიზში რომ ვიყავი, სამწუხაროდ, ის სახლი აღარ დამხვდა. ნეტავ ისე როგორ მოძველდა, რომ დაანგრიეს და მის ნაცვლად მახინჯი კოლოფი წამოჭიმეს, სადაც ასე ულმობლად ბრჭყვიალებს სამეურნეო მაღაზიების ვიტრინები?!

ომის წინა წლებში იმ სახლში დედა-მარიამ შეგროვილი ფულით ასობით მშიერი, უსახლკარო თუ ჭლექით დასნეულებული ადამიანის თავშესაფარი მოაწყო. იგი აჭმევდა, აცმევდა, მკურნალობდა და სამუშაოზე აწყობდა მათ.

იგი უცნაური მონაზონი იყო, ყოველთვის უსიამოვნება რომ ჰქონდა ოფიციალურ ეკლესიასთან. მას ემარჯვებოდა ხუროობა, დურგლობა, მღებაობა, ჭრა-კერვა, ქარგვა, ხატების წერა, მანქანაზე ბეჭდვა, მზარეულობა, ლეიბების კერვა, ძროხების წველა, ბოსტნის მარგვლა; მაგრამ ესეც ეცოტავებოდა, უნდოდა უფრო მეტი გაეკეთებინა ხალხისათვის... მას მხოლოდ ერთი ცოდვა სჭირდა — წერდა ლექსებს და ხშირად კითხულობდა ბლოკს.

აი, კიდევ რას იგონებს აწ განსვენებული კ. მოჩულსკი:

„1940 წლის 10 მაისი. გერმანელებმა ბელგია და ჰოლანდია დაიკავეს. 21 მაისი. დედა-მარია მშვიდადაა. „გერმანელებმა პარიზი რომ დაიკავონ. მე აქ დავრჩები, ჩემს უბედურებთან. აბა, სად წავიყვანო? მერე კი აღმოსავლეთისკენ გავუდგები გზას ფეხით, ეშელონებით. გარწმუნებთ, მირჩევნია რუსეთში მოვკვდე, ვიდრე დაპყრობილ პარიზში დავრჩე. მე მიყვარს რუსეთი!“ —ამბობდა იგი.

საბჭოთა კავშირზე ჰიტლერის თავდასხმის შემდეგ გერმანულმა პოლიციამ პარიზში ათასამდე რუსეთიდან წასული ემიგრანტი კომპიენის ბანაკში გამოამწყვდია.

სახლი ლურმელის ქუჩაზე ანტიფაშისტური ბრძოლის ერთ-ერთი ცენტრი გახდა; დედა-მარიასა და მის თანაშემწეთ (ლურმელის კომიტეტს) ამანათები, ფული, ყალბი საბუთები მალულად მიჰქონდათ პატიმრებთან, რადიოთი იჭერდნენ და ავრცელებდნენ და ავრცელებდნენ ახალ-ახალ ცნობებს საბჭოთა ქვეყნიდან.

ლურმელის 77-ში იმალებოდნენ კომუნისტები (რუსები და ებრაელები). 1942 წელს იქ ცხოვრობდა ტყვეობიდან გაქცეული ორი საბჭოთა ჯარისკაცი. ლურმელის კომიტეტის სულის ჩამდგმელი დედა-მარია იყო.

1942 წელს იგი წერს დრამას „ჯარისკაცები“, რომლის გმირები კომუნისტები არიან.

1942 წლის 15-16 ივნისს ებრაელთა მასობრივი დაჭერები დაიწყო. შვიდი ათასამდე კაცი, მათ შორის ოთხი ათასზე მეტი ბავშვი, ზამთრის ველოდრომზე მილალეს. ამ ოთხი ათასის ბედს (ისინი ზუსტად 4051 იყვნენ) ინგლისელმა ისტორიკოსმა ჯერალდ რეიტლინგერმა „მეორე მსოფლიო ომის ყველაზე შემაძრწუნებელი ამბავი“ უწოდა. ამ ამბავში დედა-მარიამ განსაკუთრებული როლი ითამაშა.

ველოდრომს გერმანელი ჯარისკაცები და ფრანგი პოლიციელები დარაჯობდნენ. დედა-მარიამ ალაყაფთან მარტო ფრანგები რომ მოიხელთა, მათთან მივიდა. „იქ უკვე შევიდა, ვინც უნდა ილოცოს მათთვის“, — შეაჩერა იგი ფრანგმა პოლიციელმა; „ლოცვა ზედმეტი არასოდეს არაა!“ მტკიცედ მიუგო ქალმა. ოთხი დღე და ღამე დაჰყო დედა-მარიამ თვალმიუხუჭავად ამ ჯოჯოხეთში (ერთი წყლის ონკანი, ათი საპირფარეშო და ორი ექიმი შვიდი ათას კაცზე) და თითქმის შეუძლებელი შეძლო: მოელაპარაკა ფრანგ მძღოლებს, ბანაკიდან ნაგავი რომ გაჰქონდათ, მისცა ბარათი ლურმელზე მდებარე მისი სახლის მისამართით. ველოდრომის კედლებთან ჩამწკრივებულ ვიწრო და მაღალ ნაგვის ურნებში მალავდა იგი ბავშვებს და ამ ურნებს მერე მენაგვეები მანქანებზე აწყობდნენ. ხოლო სამი წლის შემდეგ, როგორც გადმოგვცემენ, მან შეუცვალა ქურთუკი და ნომერი ერთ საბჭოთა გოგონას და მის მაგივრად შევიდა გაზის კამერაში.

ეს უკანასკნელი ამბავი მთლად უცილობელი არაა: იმ ტრაგიკული წუთების მოწმე ჯერ არ აღმოჩენილა. იქნებ ლეგენდაც იყოს, მაგრამ ვიზედაც ასეთ ლეგენდას თხზავენ, ჭეშმარიტად ლეგენდარული ადამიანია!

აი, რას ჰყვება დედა-მარიაზე საფრანგეთის წინააღმდეგობის აქტიური მონაწილე, რავენსბრუკის ყოფილი პატიმარი, პარიზში დაბრუნების შემდეგ სამხედრო ორდენებით დაჯილდოებული ს. ნოსოვიჩი:

„1944 წლის ნოემბერში შემთხვევით შევიტყვე, რომ დედა-მარია ბანაკში იყო, სადაც უკვე რამდენიმე თვე ვიმყოფებოდი. ერთხელ ერთმა ფრანგმა კომუნისტმა ქალმა, რომელსაც მე ომამდე კარგა ხნით ადრე ვიცნობდი, მითხრა: „დედა-მარია ნახეთ — იგი საოცარი ქალია!“ იგივე მითხრა ერთმა რუსმა საბჭოთა პატიმარმა, [illegible]: „გაეცანით დედა-მარიას, ბევრ რამს ისწავლით მისგან“. იგი ძალიან დაუახლოვდა ბანაკში მყოფ ბევრ საბჭოთა ქალიშვილს და მუდამ ამას ეუბნებოდა: ჩემი ნატვრაა რუსეთში გავემგზავრო, რომ არა მარტო სიტყვით, საქმითაც ვიმუშავოო... დედა მარია ხშირად აღტაცებით ლაპარაკობდა რუს ახალგაზრდებზე, ცოდნას რომ ასე ეწაფებიან, შრომა ასე რომ უყვართ, მზად რომ არიან მომავალ თაობათა სიკეთეს თავი შესწირონ.

ერთხელ, სიის ამოკითხვისას იგი ერთ საბჭოთა გოგონას გამოლაპარაკებია და ესესელი ქალის მოახლოება არ შეუმჩნევია. მან უხეშად დაუძახა და მთელი ძალით გადააწნა სახეში ქამარი. დედა-მარიას ვითომც არაფერი შეუმჩნევია, დინჯად დაასრულა რუსულად დაწყებული წინადადება. გაცოფებული ესესელი ქალი მივარდა და ურტყა და ურტყა ქამარი თავ-პირში, მან კი ერთხელაც არ გახადა შეხედვის ღირსი“.

ეს ამბავი ეხმიანება ყმაწვილი პოეტი ქალის კუზმინა-კარავაევას ლექსს — „სკვითური თიხის ნატეხები“, მის პირველ წიგნში რომ დაიბეჭდა (სწორედ ეს წიგნი არ მოეწონა ბლოკს).

საკონცენტრაციო ბანაკის ყოფილი ტყვე ქალების მოგონებების მიხედვით იმ ჯოჯოხეთში იგი საკუთარსა და ბლოკის ლექსებს კითხულობდა.

ბლოკის სიკვდილის შემდგომ ეს დიდების წუთები გახლავთ.

პარიზი-მოსკოვი.

თარგმნა რუსუდან ქებულაძემ.

---

საით მიმაფრენს ეტლი ურჯუკი,
მაკმარე სულის ჭრელი ნივთები,
ფერი რომ გიდგას ცაო სულ ურჯი,
შენთვის რა დარად ამოვინთები?

მაკმარე სულის ჭრელი ნივთები,
შენ სად თავდები,
ან სად იწყები?
მე სილარიბით შეგენივთები,
სილარიბისთვის ნუ გამიწყრები.

## ცაო, მომყევი!

ნუ გაფითრდები,
ცაო, ისე ნუ გაფითრდები,
დაუსაბამო სივრცეების
გესმის ფიქრები?!
შენს სანუგეშოდ
გლეტჩერები მთით ამოდიან...
ფიქრით მოდიან,
შფოთს ნუ აშლი,
ნუ გაფითრდები,
ო, მშვენიერო,
კვლავ კეთილი სხივი მოისხი,
ნიშნად გალობის...
ზღაპარია ყველა დღე მისი.
ნუ ატირდები,
სიხარულის ცრემლს ნუ შეიშრობ,
ცაო, მომყევი,
მზემ და მთვარემ
სადღაც გაგვისწროთ.

## ზეცა ჩუმია

ღამე ჩამოშლის უგრძეს ნაწნავებს,
(თმის კუნაპატი შვენის ღამეულს),
ცაში უამრავ ასანთს დასწვავენ,
გარს შემოუვლის მთვარე სახლეულს.

ზეცა ჩუმია,
ჩუმია ღამეც,
არ ცხრება მხოლოდ ზღვა და მდინარე,
ღმერთო, სიჩუმის წამართვი რამე,
მყავ ზღვაურისებრ ხმათა მფინარე.

●

მოფრინდებიან ყველა ფიქრები,
მომაწყდებიან დაუზარებლად...
მე გაზაფხულის მთაზე ვიქნები,
ჭით უკვდავების გამოდარებმა.

მე სულ მცირე ხნით მოვწყდები მიწას,
ფირუზისა და ზურმუხტის თმებში...
შემიცნობ? სულ სხვა ვიქნები მაშინ,
შენი მზე მაინც იბრწყინებს ჩემში.

დრო შემიტყუებს იისფერ ფრთებში,
მიწყდება უცებ ხმა შემზარავი....
გადავერევი ურიცხვთა ბედში,
დავენანები ქვეყნად არავის.

## ერთი სიტყვა

სიცარიელე მაწევს ზემოდან,
სიმწვანის ფრთები აღარ მათრობენ,
ახლა ერთ სიტყვას ჩემი ეზოდან
გაჰყავს მყობადი და შუქს აქრობენ.

# ახალი ლექსები

## ფერადი ლექსი

დამელალა ლერწმის ყელი.
რომ ვიმღერო საამურად,
ადექი და გადამჭერი,
გამომთალე სალამურად.
განა მძინავს,
თუ არ ვყვირი?!
უხმოდ ვლოცავ:
ამ მთებს, ველებს,
მე სტვირი ვარ, გუდასტვირი,
ადექი და ამამღერე.
არ გეგონოს, უსიმღეროდ,
ჩავქრები და დავბერდები,
არა, ხელი არ შემახო,
თავისთავად ავმღერდები.
დამიწინწკლავს წვიმა სხეულს
და ვიქცევი ფიქრის მთებად.
სიმღერებში გამოხვეულს,
ლექსად მინდა აზვირთება.
როცა ვღელავ, ჩემს ტალღებში
ირეკლება ზეცის სახე,
გზაზე ფაცერს ნუ დამიგებ,
ჩანჩქერი ვარ საკალმახე.
დილის ნისლი მზეზე ქრება,
ქრება ნისლი — მთისეული,
ლექსად ითხოვს დაბადებას
სიტყვა — გულზე მიმსხვრეული.
სიყვარულის ფიალა ვარ,
მიელვებენ ლამაზ თვალებს.
სანამ მთები ბრიალებენ,
ადექი და გამომცალე.
თორემ წავალ, უშენობა
განა მართლა მეძნელება?!
მზე დამხედავს და კორდებზე
ამოვიყრი ენძელებად.
რომ მღეროდეს ლერწმის ყელი,
რომ მღეროდეს საამურად,
ადექი და გადამჭერი,
გამომთალე სალამურად.

მთვარისა კერესელიძე

## მთები

გულო, გაიხარე, გულო,
მთები გადმომდგარან, მთები,
მითხარით ნატრული სიტყვა,
რომ შემოგაცქერდეთ შვებით.
სიმღერა გადამედო მთათა,
მოვდივარ ჰანგებად, ვდნები.
ფეხს ვერ ავიდგამდი, ალბათ,
რომ არ ყოფილიყვნენ მთები.
მთიდან ჩამოვდივარ ღელვით,
სიმღერა გადამედო მთათა,
გულო, გაიხარე, გულო,
ხმა რომ მივაწვდინეთ მათაც.
მასმინეთ კეთილი სიტყვა,
გული გაილია ღელვით,
მთებო, გამახარეთ ისევ,
თქვით, რომ მოგელიან
მთები!

იზა ჯაჭვაძე

## მე მიხარია...

მე მიხარია, რომ შენ ხარ ძლიერი,
ვერ მოგერიე,
რა ტყვიის გრიგალი, რა ხმლის ტრიალი
მოიგერიე.
მე მინდა, რომ შენ კვლავ იყო ძლიერი
და დიდი ბრძოლა გადამხდეს,
მაგრამ არ დავმარცხდე...
მე მინდა, რომ შენ კვლავ იყო ძლიერი
და ტოლებად არასდროს განვლაგდეთ,
რომ მე არ დავნავლდე.

ჯანიკო გაგუნია

## ჩემი გული

გული ისე ფრთხიალებს,
როგორც ჩიტი პატარა,
ამ ჩიტუნამ ცხოვრების
გზები გადამატარა.
გაზაფხულის ვარდები
ხელში დამაჭერინა,
სადიდებლად მამულის
ლექსი დამაწერინა.
ხან მიშველა ველ-მინდვრად
ჩემი კალოს გაფენა,
და მომასწრო ბუდიდან
შვილიშვილთა აფრენა.
ომის ცეცხლში გამოვლილს,
გამარჯვება ეღირსა,
ისიც ერთი წევრია
ამ დიადი ქვეყნისა.
ახლა მკერდში ჩავკეტე,
არ გავულე სარკმელი,
დაიცადოს ჩიტუნამ,
ჯერ ბევრი მაქვს სათქმელი.

შუშანა მგელაძე

## თავთავი

მსურს ქარვისფერი თრთოლვით
ფრთები მივანდო ნიავს...
წელში სიმძიმით მოხრას
განა სიბერე ჰქვია.
მეც მაქვს ოცნება წრფელი,
პატარძალივით ვღელავ,
ჩემსკენ სახიძო მოჰქრის
და ვეგებები ველად.
როგორც ხევსურის ქალი,
ხმალზე დავუგდებ მანდილს,
ხვავით, ბარაქით სავსეს
და იმედებით ავსილს.

## სურათი

არ გამეპაროს დღეო —
ზვარში გლეხკაცი ჩქარობს...
მწყრების გუნდები ჩანან —
უკვე დამწიფდა პური,
ქებას რომ ხვდება მორცხვად,
იმ ქალს მაგონებს ყანა...

ლია ჯაყელი

## ეს მერამდენე გაზაფხულია...

ეს მერამდენე გაზაფხულია
და მერამდენე ზამთარი გაქრა,
რამდენ ქარიშხალს გადაუვლია,
რამდენ ოცნებას დაემსხვრა აფრა.
ფიქრებმა ცისკენ აზიდეს მთები,
და მერამდენედ ნისლების ფარას,
ნიავი მთიდან მირეკავს გზნებით,
მაგრამ ღრუბლები ცას მაინც ფარავს.
ტყემ მერამდენედ იცვალა ფერი,
რამდენი ლხინი შეცვლილა დარდად,
წარმავალია მწამს ყველაფერი,
სიყვარულის და სიკეთის გარდა.

ნაზი ჭედია

თავზე მახურავს ნოტიო ცის ლურჯი სამოსი.
ჩემი კარავი ყვავილებით მოჩითულ ველზე
დგას ღამის ფერი.
უთვალავი მყავს ცხვარი და ძროხა.
გაშლილ სივრცეებს მოაქვთ შორით
ხმაური სირთა.
მე სალამური მიპყრია ხელთ და სევდიან მზერით
დავყვები მინდვრებს ევფრატის პირთა.

ოლერა გიგინეიშვილი

## იმერეთი

ეს გაზაფხული დაგიბრძანდება,
დაგეფოთლება ტანი იებით,
ვარდისფერ დილას თეთრ ძუძუებში
ჩაუგორდება მიწა მშიერი.
აგიყვირდება ნაკადულები
თეთრი მძივებით,
რძისფერ კაბებით,
და ულამაზეს სხივთა ალერსში
პატარძალივით გაინაბები.
გადაირევა შენი რიონი,
მზე გადიდდება,
ღრუბლებს მიმოსწევს,
აკისკისდება ქარი ფრთამალი
და თვალს მოუფშვნეტს
ყვითელ მიმოზებს.
საგაზაფხულო სუფრას გადაშლი,
დაგეფოთლება ტანზე ატმები,
და იასამნის ლურჯი სანთლები
აინთებიან შენს თეთრ ტაძარში.

ზოია ვაშაკიძე

## ჭიამაია

მე მინდორ-მინდორ გეძებდი,
ბალახს ვარხევდი დაია,
შენ კი ჩემს კაბას აჰკვრიხარ
პაწია ჭიამაია.
წითელი კაბა ჩაგიცვამს,
ნაპკური თეთრი წინწკლებით.
მოსულხარ სამახარობლოდ,
მაგ ფრთებით, ერთი ციცქნებით.
მოდი ჩამოვსხდეთ წყაროსთან,
ნუ გავფრინდებით ნულარსად.
მითხარი რით გამახარებ,
პატარა გოგოს მწყურვალსა.
მე ხელისგულზე დაგისვამ,
ამოთქვი ბარემ სათქმელი.
ბედი მაუწყე ხვალისა,
ამხადე გულის სარქველი,
გამომიარე მალ-მალე,
თუ სასეირნოდ გცალია,
ეგ შენი უცხო სამოსი
ფერიცვალების დარია,
მიჯნურთა მესაიდუმლე
პაწია ჭიამაია.

ნათელა მეგრელიშვილი

თუ სხვა ვიწამო, თუ სხვისთვის
დავშვრე,
თავზე დამემხოს ჭერი,
შემრისხოს ერმა, შემრისხოს ღმერთმა,
ძმაც კი გამიხდეს მტერი.

თუ სხვა ფერებით მოვხატო ზეცა,
მხოლოდ ცისფერის გარდა,
ფუკი ვერ ვიგრძენ შენი ტკივილი,
გულში თუ ეჭვი გაჩნდა.

ვაიმე, მაშინ შემრისხოს ერმა,
ღმერთმაც შემრისხოს მაშინ,
თუ სხვა ვიწამე, სხვისთვის ავანთე
და თუკი სხვისთვის დავშვრი.

თინა კობაური

## კავკასიონი

თმენას მასწავლის კავკასიონის
მთები, სავსე ვარ თმენით.
ხან ნისლიანი,
ხანაც მზიანი,
ჩემს ფიქრებს ჰგვანან მთები.
მინდა ამაყ მთებს ჩამოვუვარცხნო
ღრუბლის ხუჭუჭა თმები.
ვნატრობ, მთებივით ქართული ზეცა
მეჭიროს სუსტი მხრებით.

ლილი ხუციშვილი

## სიმღერა

ცხელი კოცონი ვარ გულზე დანთებული,
მძივმარგალიტი ვარ ცვრის,
ლერწმის სიმღერა ვარ, ტყეში ჩამსხვრეული,
წმინდა ცრემლები ვარ ცის.
ფერთა ზეიმი ვარ მიწის ანარეკლი,
ერთი თავთავი ვარ ძნის...
ქვეყანა მიყვარს და ქვეყანას ვუყვარვარ,
არ ვგავარ უბირს და მწირს,
მე წმინდა სიყვარულს ხატზე დავიფიცებ,
ამ გრძნობას ვერარა სცვლის...
ცხოვრება მაინც წლებზე შემდგარა და
სიცოცხლეს წვეთ-წვეთად სცლის,

ნუნუ შალვაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოსო ცინცაძე,
პოლიტიკური მიმომხილველი.

# თანამედროვეობის მთავარი პრობლემა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცობრიობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ერთი რამ უცილობლად გვეცემა თვალში — ყოველ ისტორიულ მონაკვეთზე, რომელიმე ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის პრობლემა დომინირებდა და ის იყო ეპოქის ერისკაცთა საზრუნავი და საფიქრალი.

გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი თანამედროვეობისათვის ასეთი პრობლემაა გამალებული შეიარაღების შეჩერება, ალაგმვა და განიარაღების პროცესის შეუქცევადობის უზრუნველყოფა. ამავე დროს, მეცნიერთა მტკიცებით, ჯერ კიდევ ძველი რომაელები ბჭობდნენ განიარაღების პრობლემის ირგვლივ. გადიოდა წლები, საუკუნეები და კაცობრიობა არათუ სპობდა არსებულ იარაღს, არამედ სულ ახალ, უფრო დამანგრეველ სახეობებს ჰქმნიდა. ყოველ მორიგ მიღწევას შეიარაღების სფეროში, შორსგამიზნულ პოლიტიკურ მიზნებს უკავშირებდნენ სახელმწიფო მოღვაწეები. ასე წლიდან წლამდე, საუკუნიდან საუკუნემდე, სულ უფრო სრულყოფილი ხდებოდა მასობრივი მოსპობის იარაღი და შესატყვისად იზრდებოდა ომების მსხვერპლთა რიცხვიც.

დამამშვიდებელი სურათი არც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გვაქვს. სულ უფრო და უფრო მეტ სახსრებს ნთქავს დასავლეთის სახელმწიფოთა მიერ ჯერ კიდევ „ცივი ომის" წლებში წამოწყებული გამალებული შეიარაღება.

განიარაღების პრობლემას განსაკუთრებული, შეიძლება ითქვას, უნიკალური, აქტუალობა ენიჭება ჩვენს თანამედროვეობაში, როდესაც სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის სინამდვილეში ფანტასტ-მწერალთა ჩანაფიქრსაც კი გადააჭარბა მასობრივი განადგურების იარაღის. პოტენციურმა საშიშროებამ.

ჩვენი თანამედროვეობის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს ის ფაქტიც წარმოადგენს, რომ სამეცნირო-ტექნიკური პროგრესი სისტემატურად უსწრებს პოლიტიკურ პროცესებს, მოლაპარაკებებს. მხარეები ვერ ასწრებენ არსებული პრობლემების გადაჭრას, რომ ახალი სახეობის იარაღის შექმნა ახალ პრობლემას ბადებს. ამიტომ იყო, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის ტრიბუნიდან ჩვენი პარტიის ცკ-ს გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი ამბობდა — „სკპ ცკ და საბჭოთა მთავრობის საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება იყო და არის — როგორც ამას მოითხოვდა კიდეც მშვიდობის პროგრამა — ბრძოლა გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, განიარაღებისათვის. დღეს ეს ამოცანა გაცილებით მწვავედ დგას ვიდრე ოდესმე". სწორედ ლენინური საგარეო პოლიტიკის პრინციპული კურსის შედეგია უკანასკნელი წლების სოლიდური ძვრები სამხედრო განმუხტვის მიმართულებით.

1977 წელს ძალაში შევიდა საერთაშორისო კონვენცია ბაქტერიოლოგიური იარაღის აკრძალვა-მოსპობის შესახებ. კონვენცია, რომლის ინიციატორი საბჭოთა კავშირი იყო, როგორც სკკპ XXV ყრილობაზე ცკ-ის საანგარიშო მოხსენებაში აღინიშნა, „ფაქტიურად საერთაშორისო ურთიერთობის ისტორიაში რეალური განიარაღების პირველი ღონისძიებაა. საქმე ეხება სახელმწიფოთა სამხედრო არსენალიდან მასობრივი მოსპობის ყველაზე საშიში იარაღის მთელი კატეგორიის ამოღებას".

1972-1974 წლებში მნიშვნელოვანი შეთანხმებები იქნა მიღწეული საბჭოთა კავშირისა და აშშ-ს შორის სტრატეგიული შეტევითი ხასიათის იარაღის შეზღუდვის სფეროში. 1972 წელს დაიდო აგრეთვე საბჭოთა კავშირ-აშშ-ს ხელშეკრულება რაკეტსაწინაალმდეგო თავდაცვითი სისტემების შეზღუდვის შესახებ, დროებითი ხელშეკრულება სტრატეგიული ხასიათის იარაღის შეზღუდვის ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ, სტრატეგიული შეტევითი ხასიათის იარაღის შემდგომ შეზღუდვაზე მოლაპარაკებათა ძირითადი პრინციპები 1973 წელი), რაკეტსაწინაალმდეგო თავდაცვის სისტემათა შეზღუდვის ხელშეკრულების ოქმი (1974 წელი). 1976 წლის 28 მაისს დაიდო საბჭოთა კავშირ-აშშ-ის ხელშეკრულება მიწის ქვეშ მშვიდობიანი მიზნებით ატომურ აფეთქებათა შესახებ და ა. შ.

ერთ საჟურნალო წერილში, ბუნებრივია, ძნელია განიარაღების გლობალურ პრობლემასთან დაკავშირებული ყველა ასპექტის გაშუქება, მითუმეტეს, რომ პრობლემას უაღრესად ფართო სპექტრი ახასიათებს. ავიღოთ თუნდაც ბოლო ხანებამდე ისეთი „ნაკლებაქტუალური" პრობლემა, როგორიცაა იარაღის საერთაშორისო ვაჭრობა. როგორც ცნობილია, ამ პრობლემას განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა საბჭოთა პროფკავშირების უკანასკნელ ყრილობაზე — „ღირს აზრი გავუზიაროთ ერთმანეთს იარაღის საერთაშორისო ვაჭრობის პრობლემაზე". — აღნიშნა მან. რა სურათი გვაქვს ამ სფეროში? ვინ უწყობს ხელს მსოფლიოში იარაღის მასობრივ გავრცელებას საკუთარი პოლიტიკური ეკონომიური და კლასობრივი ინტერესებისათვის?

დასავლეთის პრესის მონაცემებით, აშშ-ის თავდაცვის სამინისტრო საზღვარგარეთის ქვეყნებთან (უმთავრესად ნატოს წევრ სახელმწიფოებთან) ერთად მონაწილეობს 40 დიდი სამხედრო დანიშნულების პროექტის განხორციელებაში, რომელთა საერთო ღირებულება 1976 წელს 9,6 მილიარდი დოლარით განისაზღვრა. ანალოგიურ საწყისებზე 50-ზე მეტ პროექტზე მუშაობენ აშშ-ის ფირმები და კომპანიები.

ამგვარი თანამშრომლობით, ცხადია, სამხედრო პროდუქციის ტრადიციულად მწარმოებელი სახელმწიფოდან სამხედრო ტექნოლოგია გავრცელდება იმ ქვეყნებში, რომლებიც დღემდე იარაღის მხოლოდ იმპორტიორები იყვნენ. ბუნებრივია, რომ ასეთი ევოლუცია პოტენციურად ხელს უწყობს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში გამალებულ შეიარაღებას, აქედან გამომდინარე — თავისთავად იზრდება ომის საფრთხე. როგორც ფრანგული გაზეთი „მონდ დიპლომატიკი" აღნიშნავს, საკითხი ეხება სავსებით ახალ მოვლენას: არა მხოლოდ მზა პროდუქციის, არამედ იმ ურთიერთობათა მთელი სისტემის, — რომელიც „სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის" სახელწოდებით დამკვიდრდა, — უცხო სახელმწიფოსათვის გადაცემას. საქმე ის არის, რომ ხდებიან რა უცხოეთის სახელმწიფო კომპანიონები იარაღის წარმოებაში, აშშ-ის მსხვილი სამხედრო ფირმები აუცილებლივ ახდენენ იმ პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიური კავშირის სქემის რეპროდუქტირებას, რომელიც ამერიკის საზოგადოების განმასხვავებელ ნიშნად იქცა.

აშშ-ის ქ. სენტ-ლუისში, კორპორაცია „მაკდონალდ დუგლასის" ქარხნის თავზე 1971 წლიდან ფრიალებს დროშა, რომლითაც აშშ-ის ვაჭრობის სამინისტრომ დააჯილდოვა ეს კომპანია უცხოეთში სამხედრო თვითმფრინავებით ვაჭრობაში შეტანილი წვლილისათვის. თუ 1952 წელს იარაღით საერთაშორისო ვაჭრობა 300 მილიონი დოლარით გამოიხატებოდა, 1974 წელს ამ თანხამ უკვე 18 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. საერთო აღიარებით, ამ საქმეში ტონის მიმცემი აშშ-ია, ხოლო „მაკდონალდ-დუგლასი" ერთ-ერთი იმ კომპანიათაგანია, რომლის ფინანსური კეთილდღეობა იარაღით ვაჭრობაზეა დამოკიდებული. წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით მოგებათა საკითხში ჩემპიონი სწორედ, „მაკდონალდ-დუგლასია", შემდეგ მიდიან: „ლიტტონ ინდასტრიზ" (547%-ით გაიზარდა მოგება), „ნორტროპი" (483%-ით გაიზარდა მოგება), „ლოკჰიდი" (141%-ით გაიზარდა მოგება), ყველა ეს კომპანია სამხედრო იარაღს აწარმოებს.

აშშ დღეს გაცილებით მეტ იარაღს ჰყიდის, ვიდრე მსოფლიოს დანარჩენი სახელმწიფოები ერთად აღებული. აშშ-ის განიარაღებასა და შეიარაღებაზე კონტროლის სააგენტოს მოხსენებაში — „მსოფლიოს სამხედრო ხარჯები და იარაღის მიწოდება 1966-1976 წლებში", აღნიშნულია, რომ უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით საშიში ტემპებით იზრდება სუსტადგანვითარებულ სახელმწიფოთა სამხედრო ხარჯები. უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში განვითარებად ქვეყნების სამხედრო ხარჯები 4,5-ჯერ გაიზარდა, 9-ჯერ გაიზარდა აფრიკის სახელმწიფოთა სამხედრო ხარჯები! და ეს მაშინ, როდესაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით, 1976 წლისათვის ამ სახელმწიფოთა რეალური შემსყიდველუნარიანობა 20 მილიარდი დოლარით შემცირდა, 1970 წელთან შედარებით 45 მილიარდი დოლარი შეადგინა სავაჭრო ბალანსის დეფიციტმა და 120 მილიარდ დოლარს გადააჭარბა საგარეო ვალმა. განა შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს მდგომარეობა, როდესაც მარტო აფრიკის ქვეყნებში 3,5-ჯერ მეტი სახსრები იხარჯება შეიარაღებაზე, ვიდრე ჯანმრთელობის დაცვაზე და 2,1-ჯერ მეტი ვიდრე განათლებაზე? მართალია, იარაღით ვაჭრობის სპეციფიკა იმაშიც გამოიხატება, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია ზუსტად დადგენა თუ რა თანხის იარაღი იყიდება, მაგრამ, არსებული მონაცემების თანახმად, უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში განვითარებადი ქვეყნების მიერ 40 მილიარდი დოლარის იარაღია შესყიდული. ამ ქვეყნების სამხედრო ხარჯები მსოფლიო სამხედრო ხარჯების მხოლოდ 11 პროცენტს შეადგენს, მაგრამ ზრდის ტემპები აქ ორჯერ მაღალია განვითარებულ სახელმწიფოებთან შედარებით. მაშინ, როდესაც ამ ქვეყნებში საბითუმო ეროვნული პროდუქტი საშუალოდ 5 პროცენტით იზრდება წლიურად, სამხედრო ხარჯები იზრდება 7 პროცენტით, ხოლო იარაღის შესყიდვა — 9 პროცენტით! როგორც 1976 წლის სექტემბერში ჰელსინკში შემდგარ კონფერენციაზე — „გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, განიარაღებისა და დაძაბულობის განმუხტვისათვის" აღინიშნა, ერთი ავიამზიდის ღირებულება იგივეა, რაც 2,8 მილიონ ტონა ხორბლეულის, ერთი რეაქტიული თვითმფრინავის — 100 ათასი ტონა შაქრის, ხოლო შედარებით „იაფ" ამერიკულ ავიაგამანადგურებელ „ფ — 16"-ის შექმნაზე დახარჯული თანხები კი 8-ჯერ აღემატება თანხას (83 მლიონი დოლარი), რომელიც ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციას ესაჭიროება, რათა სამუდამოდ მოეღოს ბოლო შავ ყვავილს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1977 წლის სპეციალურ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ჯერ კიდევ 1974 წელს გენერალური ასამბლეის



# 1980 წლის 19 ივლისი

1911 წელს რუსეთის იმპერიის ერთ-ერთი გაზეთი წერდა, რომ მოსკოვი თავისი გარეგნული იერით, კეთილმოწყობითა და მრეწველობით მხოლოდ 500 წლის შემდეგ შეიძლება გაუტოლდეს ევროპის მოწინავე ქალაქებსო.

დღეს საქვეყნოდ ცნობილია, რომ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი მსოფლიოში ერთ-ერთი ულამაზესი, კეთილმოწყობილი, მაღალგანვითარებული კულტურის, ხელოვნებისა თუ მეცნიერების უდიდესი ცენტრია. იგი სამართლიანად ამაყობს თავისი კვების, მსუბუქი და მძიმე მრეწველობის საწარმოებითაც.

საკმარისია ითქვას, რომ ერთ დღეში მოსკოვის ქარხნები და ფაბრიკები აწარმოებენ 2.665 ტელევიზორს, 1.457 რადიომიმღებს, 46.900 საათს, 910 მაცივარს, 537 სარეცხის მანქანას, 11.700 წყვილ ტყავის ფეხსაცმელს...

ყველაფრის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

ამას წინათ „ოლიმპიადა — 80"-ის საორგანიზაციო კომიტეტის მოწვევით მოსკოვში ჩამოვიდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ლორდი კილანინი.

მისი სამუშაო ვიზიტის მიზანი იყო დაეთვალიერებინა მოსკოვი და გასცნობოდა ოლიმპიური მშენებლობის მიმდინარეობას.

— ოლიმპიური ობიექტების მშენებლობა დამაკმაყოფილებელია, — განაცხადა პრეზიდენტმა, — მე შემექმნა შთაბეჭდილება, რომ მოსკოვის თითქმის ყველა ოლიმპიური ნაგებობა მშენებლობაში უსწრებს წინა ოლიმპიადას, რომელიც მონრეალში გაიმართა.

მოსკოვში ამჟამად გაცხოველებული ტემპით მიმდინარეობს ახალი სტადიონის, სპორტული ბაზების, სასტუმროების მშენებლობა, კაპიტალურად რემონტდება, ფართოვდება, ახალი ინვენტარით ივსება სხვადასხვა სპორტული ნაგებობები...

1980 წლის 19 ივლისს ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის დიდ არენაზე აინთება XXII ოლიმპიური თამაშების კოცონი და იგი 3 აგვისტომდე იჩახჩახებს.

ამ ოლიმპიადაზე მედლების 201 კომპლექტი გათამაშდება.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენები ერთმანეთს შეეჯიბრებიან კალათბურთში, კრივში, ჭიდაობის სახეობებში, ფრენბურთში, აკადემიურ ნიჩბოსნობაში, ტანვარჯიშში, ცხენოსნურ სპორტში, ცურაობაში, ხელბურთში, ხუთჭიდში, სროლაში, ფარიკაობაში, ფეხბურთში...

სპორტულ თამაშებს მოემსახურება 35.000-მდე არბიტრი, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის 6-7 ათასამდე წარმომადგენელი...

მიერ მოწონებული საბჭოთა კავშირის წინადადებების რეალიზაციას, რომელიც ითვალისწინებდა უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრ სახელმწიფოთა თუნდაც მხოლოდ ორი სახელმწიფოს საბჭოთა კავშირისა და აშშ-ის მიერ სამხედრო ბიუჯეტის 10 პროცენტით შემცირებას და გამონთავისუფლებელი სახსრების ნაწილის „მესამე სამყაროს" დახმარების ფონდში ჩარიცხვას, ყოველწლიურად დაახლოებით 23 მილიარდი დოლარის ეკონომია მოჰყვებოდა. ამ თანხიდან მხოლოდ 10 პროცენტით რომ გამოყოფილიყო განსაკუთრებით ღარიბი ქვეყნების დახმარებისათვის, საერთო დახმარების ფონდი 20 პროცენტით, ანუ 2,3 მილიარდი დოლარით გაიზრდებოდა.

ყოველივე ზემოხსენებულის შემდეგ, ბუნებრივია, რომ საბჭოთა კავშირის თითოეულ ინიციატივას განიარაღების სფეროში, იქნება ეს ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ჩვენი სახელმწიფოს მე-60 წლისთავზე წამოყენებული წინადადებები, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXXII სესიაზე განსახილველად შეტანილი წინადადებები თუ მასობრივი მოსპობის ახალ იარაღთა დანერგვის საწინააღმდეგო ღონისძიებები, ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა აქვს და მსოფლიოს ფართო საზოგადოებრიობის აქტიური მხარდაჭერით სარგებლობს.

# პირველი

● ჩვენს ქვეყანაში რესპუბლიკის სახალხო არტისტის საპატიო წოდება პირველად მიენიჭა მარია ერმილოვას 1920 წლის მაისს.

ამ დღეს მოსკოვის მცირე თეატრში გაიმართა მარია ერმილოვას შემოქმედებითი საღამო, რომელსაც დაესწრო ვ. ი. ლენინი.

● საქართველოში საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის წოდება პირველად მიენიჭათ აკაკი ხორავას და აკაკი ვასაძეს.

● წითელი მოედნიდან პირველი რადიო-სატრანსლაციო გადაცემა მოეწყო 1925 წლის 7 ნოემბერს.

● წითელი მოედნიდან პირველი ტელერეპორტაჟი 1956 წლის 1 მაისს ჩატარდა.

● პირველი საბავშვო ოლიმპიადა ბუდაპეშტში გაიმართა. ასპარეზობაში, რომელიც ტელევიზიით გადაიცემოდა, 180 საბავშვო ბაღის აღსაზრდელები მონაწილეობდნენ.

● ძველი ბერძენი ძალოსანი მილონ კროტონელი მსოფლიოში პირველი სპორტსმენია, რომელმაც ზედიზედ ექვსჯერ მიიღო ოლიმპიური ასპარეზობის ტიტული.

● 1974 წელს ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატში ჩატარებული მატჩების რაოდენობა პირველად ასცდა 32-ს. მოწინააღმდეგეებმა 38 მატჩი ჩაატარეს.

● ფეხბურთში თავდამსხმელთა ადგილების შენაცვლების ტაქტიკა ჩვენს ქვეყანაში პირველად თბილისის დინამოელებმა შემოიღეს.

● თბილისის „დინამოს" მოთამაშე დავით ყიფიანი პირველი ქართველი ფეხბურთელია, რომელიც სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს (1977 წ.).

● თბილისელმა კალათბურთელებმა საკავშირო ჩემპიონატში პირველებმა მოიპოვეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონის საპატიო ტიტული.

# ყველაზე ყველაზე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

□

მსოფლიოში ყველაზე მეტი შვილი ჰყავდა გერმანელ ბარბარა შულცს, რომელიც 1504 წელს გარდაიცვალა.

ამ ქალმა შვა 21 ვაჟიშვილი და 14 ქალიშვილი.

□

საეკლესიო ჩანაწერების მიხედვით, ინგლისელი თომას კარნი დაიბადა 1588 წელს და გარდაიცვალა 1795 წელს.

თუ ეს ჩანაწერები ზუსტია, მაშინ თომას კარნმა მსოფლიოში ჯერჯერობით ყველაზე დიდხანს — 207 წელი იცოცხლა.

□

სალვადორში (ცენტრალური ამერიკა) მოქმედებს მსოფლიოში ყველაზე უცნაური ვულკანი ისალიკო, რომელიც, როგორც წესი, ყოველ 8 წუთში 300 მეტრის სიმაღლეზე აფრქვევს ორთქლის სვეტს, ქვებს, ფერფლსა და ცეცხლოვან მასას.

□

მსოფლიოს წყლებში ყველაზე მაღალი ტემპერატურა — პლუს 62 გრადუსი ცელსიუსით რეგისტრირებულია წითელ ზღვაში.

□

ყველაზე დაბალი ტემპერატურა — მინუს 88,3 გრადუსი ცელსიუსით აღრიცხულია ანტარქტიკის პოლარულ სადგურ „ვოსტოკში".

□

ზამთარსა და ზაფხულში ყველაზე დიდი სხვაობა დაბალ და მაღალ ტემპერატურებს შორის აღინიშნა ოიმიაკონში (სსრკ).

□

საქართველოში ყველაზე დაბალი ტემპერატურა — მინუს 41 გრადუსი ცელსიუსით რეგისტრირებულია კარწახში (ახალქალაქის რაიონი).

□

ყველაზე მაღალი ტემპერატურა აღრიცხულია შირაქის ველზე.

□

საქართველოში (აგრეთვე მთელ ევროპაში) ყველაზე მაღალი დასახლებული პუნქტი სვანეთში მდებარეობს.



# უსათაურო იგავ-არაკი



ცნობილი მოიგავარაკე კრილოვი ერთ მშვენიერ დღეს დაჯდა და „მაიმუნი და სათვალე“ დაწერა.

მე არც ცნობილი მოიგავარაკე ვარ და, რა თქმა უნდა, არც კრილოვი გახლავართ ჯერჯერობით.

არც მშვენიერი დღეა — ჟინულავს, არც დაჯდომა შემიძლია — ფეხი მაქვს ნაღრძობი და ვწევარ.

„მაიმუნი და სათვალე“ უკვე დაწერილია, ისღა დამრჩენია, „ადამიანი და სათვალე“ დავწერო.

დავიწყოთ.

სათვალე არცთუ ისე დიდად, მაგრამ პატარად და მრგვლად მეტისმეტად გავრცელებული ოპტიკური ნაწარმია.

რაში გვეხმარება იგი?

უპირველეს ყოვლისა, ყველაფრის უფრო დიდად დანახვაში, ჭამაში, სმაში, კითხვაში, კიდევ რბენაში, ხაზში, კროსვორდის ამოხსნაში, იმაში, ამაში, ჯანმრთელობის დაცვაში და კიდევ რაღაცაში.

აი, სწორედ ამ კიდევ რაღაცის შესახებ მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება.

დავიწყოთ.

იგი ტრესტის მმართველად დააწინაურეს.

მეორე დღეს იმპორტული რქის სათვალე იყიდა და დადო.

სათვალე, მითუმეტეს იმპორტული სათვალე, კვერცხი არ არის, რომ ლობის ძირში დაედო, იმპორტულ მაგიდაზე დადო.

ყველაფერს კარგად ხედავდა, მაგრამ როცა ვინმე შევიდოდა იმის კაბინეტში, იმპორტულ სათვალეს იკეთებდა და არაიმპორტულს ვეღარაფერს ხედავდა.

ძალიან უხდებოდა, მაგრამ თანდათან სუქდებოდა.

ერთ მშვენიერ დღეს, იმპორტული სათვალე გაიკეთა და არაიმპორტული კი არა, თქვენ წარმოიდგინეთ, იმპორტულიც ვეღარაფერი დაინახა!

დავამთავროთ.

ტრესტის მმართველს ბოლოს ასეთი ზნე /დასჩემდა:

როცა სათვალეს იკეთებდა — რაც არ უნდოდა, იმას ვერ ხედავდა, როცა სათვალეს არ იკეთებდა, პირიქით ხდებოდა — რაც უნდოდა, იმას ხედავდა და რაც არ უნდოდა, იმას ვერ ხედავდა!

ისევ ჟინულავს, ისევ რაღაცა მაქვს ნაღრძობი, ისევ სარეცელზე ვწევარ და ვფიქრობ:

ჩემს ახალ იგავ-არაკს „მაიმუნი და სათვალე“ დავარქვა თუ „ადამიანი და სათვალე?“

კამო შარმაზიანი

## ბუნება და ადამიანი

# ყავის ხე



ყავის ხე მიეკუთვნება ენდოსებრთა ოჯახს. იგი 3-6 მეტრი სიმაღლის დაბალმზარდი მცენარეა, აქვს მუქი მწვანე, პრიალა ტყავისმაგვარი ფოთლები, რომელთა შორის თეთრი ყვავილებია მიმობნეული.

ყავის ხის წვნიანი ნაყოფი მუქი წითელი ფერისაა. თითოეულ ნაყოფში არის 2 ზურგგამოზნექილი თესლი, რომლებსაც ყავის მარცვლებს ეძახიან.

ყავის ხის სამშობლო აფრიკაა. მოჰყავთ იგი ეთიოპიაში, არაბეთში, იავის კუნძულებზე. აღსანიშნავია, რომ ყავის მარცვლის მსოფლიო ექსპორტის 50 პროცენტი ბრაზილიაზე მოდის.

თითოეული ხიდან ყავის მარცვლის საშუალო მოსავალი 1 კილოგრამს არ აღემატება.

მოხალულ თესლს, ძლიერი არომატულობის გამო, ფართოდ იყენებენ სასმელი ყავის, შოკოლადის, სხვადასხვა ტკბილეულის დასამზადებლად. ყავის თესლი აგრეთვე დიდი რაოდენობით შეიცავს კოფეინს.

ევროპაში ყავის შესახებ პირველად შეიტყვეს იტალიელი ექიმის პროსპერალ ფინუსისაგან, რომელიც ხანგრძლივი დროის მანძილზე ახლდა ვენეციის დიპლომატიურ წარმომადგენლებს ეგვიპტეში.

ყავის შესახებ ცნობები პროსპერალ ფინუსიმ 1591 წელს მოიტანა ევროპაში, მასვე ეკუთვნის ყავის, როგორც სამკურნალო საშუალების, პირველი აღწერა.

ლონდონში 1652 წელს ერთმა მდიდარმა ბერძენმა გახსნა პირველი ყავახანა. ეს ყავახანა, რომელსაც თავიდანვე ვარგინიას ეძახდნენ, დღემდეა შემორჩენილი ლონდონში.

ინგლისელებს ისე მოეწონათ საამო, არომატული, გამამხნევებელი სასმელი, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ლონდონში უკვე სამი ათასამდე ყავახანა იყო გახსნილი. აღსანიშნავია ისიც, რომ პირველი ფარნები სწორედ ყავახანების წინ ჩამოჰკიდეს.

ყავამ მალე საყოველთაო აღიარება ჰპოვა მსოფლიოში. დაიწყეს მასზე სახოტბო სიმღერების და ლექსების შეთხზვა; ცნობილმა კომპოზიტორმა იოჰან სებასტიან ბახმა ყავას მიუძღვნა სპეციალური მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც „ყავის კანტანტის“ სახელწოდებით არის ცნობილი.

ჩვენში ამჟამად ყავის ხის აკლიმატიზაციისათვის დიდი სამუშაოები ტარდება. ეს ძვირფასი მცენარე სულ მალე ალბათ ჩვენი რესპუბლიკის მკვიდრიც გახდება.

გიორგი დათუაშვილი

## უცხოური იუმორი

□

— პიერ, სასწრაფოდ უნდა დავბრუნდეთ სახლში, უთოს გამორთვა დამავიწყდა!

— არ არის აუცილებელი!

— ხანძარი რომ გაჩნდეს?

— არ გაჩნდება. აბაზანაში ონკანი დამრჩა ღია!



□

სადგურზე ქმარმა უთხრა ცოლს, რომელსაც სახლიდან თითქმის ყველაფერი წამოეღო:

— როგორ ვწუხვარ, როიალიც რომ არ წამოვიღე, მასზე ხომ მატარებლის ბილეთები დამრჩა.

□

ახალგაზრდა მწერალმა თავისი მოთხრობები ცნობილ მწერალს მიართვა.

— შიგ იმდენი ცეცხლი ჩავაქსოვე! — უთხრა მან.

მწერალმა წაიკითხა წიგნი და ავტორს დაუბრუნა.

— ჯობდა, ნაწარმოებში კი არ ჩაგექსოვათ ცეცხლი, ნაწარმოები მიგეცათ ცეცხლისათვის! — უთხრა მან.

□

დედა: ღმერთო ჩემო, ათი საათია და შენ ჯერ არ გძინავს. რას იტყვის მამაშენი შინ რომ დაბრუნდება?

შვილი: ვახშამი, ვახშამი, ვახშამი!

□

ექიმი: თქვენ ამბობთ, რომ ძილში ლაპარაკობთ; კიდევ კარგი, მარტო ცხოვრობთ და არავის აწუხებთ!

პაციენტი: ეს კი ასეა, მაგრამ... სამსახურში რა მეშველება?!

თარგმნა თამარ დუმბაძემ





საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. რესპუბ.

# ახალ-ახალი ამბები

ახალ-ახალი ამბები

ახალ-ახალი ამბები

## დელფინების აღწერა

დამთავრდა შავი ზღვის დელფინების აღწერა.

სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ შავ ზღვაში ამჟამად 1 მილიონამდე დელფინი ცხოვრობს.

დელფინების აღწერა მოხდა თვითმფრინავების, გამომკვლევი გემებისა და საგანგებო მყვინთავების დახმარებით.

## ახალი ფერმები

ყიზილყუმის მახლობლად დაარსდა მეაქლემეობის მეურნეობა, რომელშიც ამჟამად 4 ათასამდე აქლემი ჰყავთ.

თითოეული აქლემი ყოველწლიურად იძლევა 8-10 კილოგრამ ძვირფას ბეწვს. აქლემის რძისაგან აქვე მზადდება სამკურნალო სასმელი „შუბატა".

მოძმე უზბეკეთში გადაწყვეტილი აქვთ, რომ უახლოეს ხანაში მეაქლემეობის სხვა მეურნეობებიც დააარსონ.

## შუა აზიაში უდიდესი

ყირგიზეთის დედაქალაქ ფრუნზეში დაიწყო შუა აზიაში უდიდესი კარდიოლოგიური ცენტრის მშენებლობა.

მისი კეთილმოწყობილი, უახლესი ტექნიკით აღჭურვილი კორპუსები განლაგდება დიდ პარკში, რომელსაც ახლახანს ჩაეყარა საფუძველი.

## ახალ გარემოში

ამას წინათ უსურიის ტაიგიდან გარეული ღორები და ლაქებიანი ირმები თვითმფრინავებით გადაიყვანეს მოსკოვის მახლობელ ტყეებში, უკრაინაში, შუა აზიაში, კავკასიაში.

უსურიის ტაიგის ეს მკვიდრნი კარგად ეგუებიან და მრავლდებიან ახალ საცხოვრებელ ადგილებში.

## წყლის მოწყობილობა

თურქმენმა სპეციალისტებმა ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ შექმნეს წყლის გამამტკნარებელი მოწყობილობა, რომელიც გაზის საშუალებით მუშაობს.

ეს მარტივი და მოხერხებული მოწყობილობა საშუალებას იძლევა შორეულ საძოვრებზე და სხვადასხვა საჭირო ადგილებში სწრაფად გავამტკნაროთ ზედა და მიწისქვეშა მლაშე წყლები.

## გამძლე და საიმედო

ნავთობის გადამუშავების შემდეგ დარჩენილი პროდუქტებისაგან ხარკოვში დაიწყეს საზღვაო ბაგირების დამზადება.

ეს ბაგირი მეტად გამძლე და საიმედოა; არ ეშინია მზის, ყინვის, ცეცხლისა და არც ზღვის მარილიანი წყლის ზემოქმედების.

## დედაქალაქს შეემატა

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში გაიხსნა კიდევ ერთი სპეციალიზებული წიგნის მაღაზია — „საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურა".

მაღაზიას მჭიდრო კონტაქტი აქვს დამყარებული ჩვენი ქვეყნის წიგნით მოვაჭრე ორგანიზაციებთან.

სპეციალიზებულ მაღაზიაში მალე დიდი რაოდენობით მიიღებენ შეკვეთილ წიგნებს მოსკოვიდან, კიევიდან, მინსკიდან, ბაქოდან, ტალინიდან, ტაშკენტიდან, კიშინიოვიდან, რიგიდან და სხვა ქალაქებიდან.

## ნეოლითის ნიმუშები

ამას წინათ მხარეთმცოდნე ს. სოლიკოვმა ლენინგრადის ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში შემთხვევით მიაკვლია უცნაური ფორმის ქვებს.

ეს ქვები კაცის სხვადასხვა იარაღი აღმოჩნდა. არქეოლოგებმა დაადგინეს, რომ ამ ადგილებში უძველეს დროში პირველყოფილი ადამიანები ცხოვრობდნენ.

ასე გამოვლინდა ნეოლითის პირველი საინტერესო ნიმუშები ნევის სანაპიროზე.

## კერ-ხანას ხეობაში

ყაზახეთში სხვადასხვა ძვირფასი წამლებისათვის საჭირო მცენარეების ნაკრძალად გადაიქცა კერ-ხანას ხეობა, რომელშიც ახლა დიდი რაოდენობით აშენებენ მედიცინაში საჭირო ხეებს, ბუჩქებს, ბალახებს.

კერ-ხანას ხეობებიდან ჩვენი სააფთიაქო საწარმოები მალე მიიღებენ სხვადასხვა წამლებისათვის საჭირო ნედლეულს.

## გადაეცა სერიულ წარმოებას

საბჭოთა სპეციალისტებმა დაამზადეს პორტატიული ელექტრონული ბორმანქანა „გამა-2".

ეს ახალი სტომატოლოგიური მოწყობილობა უკვე გადაეცა სერიულ წარმოებას.

იგი მეტად კომპაქტურია, სწრაფად ამუშავებს კბილებს და არავითარ ტკივილს არ აყენებს პაციენტს.

# კროსვორდი



თ ა რ ა ზ უ ლ ა დ: 5. ქართველი ალპინისტი ქალი; 6. სიმღერა „სულიკოს" ავტორი; 9. ნათელთევზა; 10. გამოთქმა, რომელიც არ უდრის შემადგენელი სიტყვების მნიშვნელობას; 11. ფრანგი კომპოზიტორი, კანტატა „ჟენევიევას" ავტორი; 15. საჭმლის დამზადების ოსტატობა; 17. კოსმეტიკური საცხი; 18. კერძი; 19. 1976 წლის ლაურეატი ქალი ფიგურულ სრიალში; 20. ბამბის ან სელის ქსოვილი; 24. ნამცხვარი; 25. იტალიელი კომპოზიტორი, პირველი საოპერო სპექტაკლის დამდგმელი რუსეთში; 26. შავი ზღვის კურორტი; 29. ქალაქი ჩინეთში; 32. ბურჟუაზიის წარმომადგენელი; 33. პირველი რუსი მფრინავი ქალი; 34. სომხეთში მოღვაწე ქართველი მეცნიერი ქალი; 35. ლერმონტოვის ნაწარმოების პერსონაჟი.

შ ვ ე უ ლ ა დ: 1. არაბულ ენაზე დუბლირებული პირველი საბჭოთა ფილმი; 2. ქალის სამკაული; 3. ტოტებჩამოშვებული ტირიფი; 4. ციური სხეული; 5. ქართველი ბალერინა; 7. ლატვიის სპორტის ისტორიაში პირველი ოლიმპიური ოქროსმედალოსანი მძლეოსნობაში; 8. გოეთეს ტრაგედია; 12. მტაცებელი ცხოველების მომთვინიერებელი, საბჭოთა ცირკის მსახიობი ქალი; 13. არაძვირფასი ქვებისა და ლითონისაგან გაკეთებული ქალის სამკაული; 14. საქონლის შემოტანა საზღვარგარეთიდან; 16. რაიმე საგნის საერთო, გარეგანი მოხაზულობა; 21. პირველი ქართველი მფრინავი ქალი; 22. დედამიწის სფეროში მოძრავი კოსმოსური წარმოშობის სხეული; 23. მოსკოვში საფრანგეთის კომუნისტური ჯგუფის ორგანიზატორი, პირველი ფრანგი ქალი რკპ (ბ)-ს წევრი; 27. ვაჟა-ფშაველას ნაწარმოების პერსონაჟი; 28. სკულპტურული ჯგუფის „მუშა და კოლმეურნე ქალის" ავტორი; 30. თივის ან ძნის გროვა; 31. ურო.

კროსვორდი შეადგინა
ლ. გეგელიამ.

**ჟურნალ „დროშის" № 2 გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

თ ა რ ა ზ უ ლ ა დ: 5. არგონი; 7. „მაზეპა"; 8. ალეგრეტო; 10. მატერიკი; 11. ეკიუ; 12. ეპიგრამა; 13. მერი; 14. უნივერსიტეტი; 19. დემონსტრაცია; 26. სოია; 27. სიმეტრია; 28. ჩაფი; 30. ტელეფონი; 31. ასამბლეა; 32. რომანი; 33. აგენტი.

შ ვ ე უ ლ ა დ: 1. კარატე; 2. აგრესია; 3. პერიგეა; 4. მატისი; 6. იმერეთი; 7. მატიანე; 9. ონისე; 10. მხალი; 15. ნიკე; 16. ვეტო; 17. ტუბა; 18. ტური; 20. მასლოვი; 21. ნემსი; 22. რურუა; 23. ცხაკაია; 24. დიპლომი; 25. შაბლონი; 26. სატირა; 29. იტალია.

# ამბავი სიაუშისა

ბელა შალვაშვილმა სპარსულიდან თარგმნა „შაჰ-ნამეს“ ოთხი ეპიზოდი („მანუჩარი“, „ამბავი ბეჟანისა და მანიჟესი“, „ამბავი სიაუშისა“ და „ქეი-ქაუსი“).
გთავაზობთ „სიაუშის“ შესავალს, რომელშიც პოეტის დანიშნულებაზეა ლაპარაკი.

ქვეყანას რათა მშვენიერის სამზერად უხმო,
სიტყვის მსახურო, შთაგონებით იმღერე უფრო!

პოეტის ლექსი თუ მის მაღალ გონებას გაცნობთ,
ეს არს ზეობა პოეტისა, უწყოდეთ, კაცნო!

თუ შეეპარა სიტყვის მსახურს მწიკვლი და ბიწი,
ალარაფერის მაქნისია იმისი ნიჭი.

შრომაში ღამეც რომ ათიოს, არა აქვს ფასი,
დაკარგული აქვს ღირსებანი ბრძენკაცის თვალში.

ვის შეუცვნია თუმცა ქვეყნად თავისი ნაკლი,
ყოველს ჰგონია ნაღდია და აცხია მადლი.

ჭკუათამყოფელს ხამს უჩვენო ნაშრომი შენი
და გამორჩევამ მისმან უნდა შეგიწყოს ხელი.

თუკი ბრძენკაცის იმსახურე ოდა-ქებანი,
წყაროსთვალისთვის მიგიგნია და ჰა, ეგ არი.

დეჰყანისაგან შემონახულს მოგითხრობთ ახლა,
გაუხუნარი გარდასულის სურნელი ახლავს.

დროთა ბრუნვაში მტვერი აძევს და წელთა რიგი,
დე, ლექსმან ჩემმან გააცოცხლოს ამბავი იგი.

დაე, დღეები, მოთვლილია რომელ საჩემოდ,
დიადს ამ შრომას შევწირო და ძალი გაჩვენოთ.

კეთილნაყოფა ხეს ვრგავ, ვიცი, და არა ხენეშს,
და არ გახმება, ის იმწვანებს ახლაც და მერეც.

ორმოცდათვრამეტს გადავცილდი, მინახავს ბევრი,
საწუთრომ ბევრჯერ მოატარა ჩემს თავზე კევრი.

სიცოცხლის წყურვილს მაინც ვგრძნობ და დღეთა
დინებას
ისე მივყვები, არ მაკლია გულმოდგინება.

ოდესღაც ბრძენკაცს დასცდენია ამგვარი რაღაც,
რა მოხუცდები, კვლავ ჭაბუკად იქცევი აღარ.

და თუ სათქმელი მოგეძალა, დახარჯე ძალი,
სიკეთე ჰქმენ და მოიმარჯვე გონების თვალი.

თუკი სიკეთე განაგდე და სიავე აქე,
გახსოვდეს, პასუხს დამბადებლის წინაშე აგებ.

უწყოდე, რაიც გითესია, მოიმკი მასვე,
ავი სთქვი, შენივ სასმენელიც სიავეს გასმენს.

მაღალგონიერთ არცა სხვათა სიავის სმენა
მოუდისთ ჭკუად, აჭად არც თვით დასძრავენ ენას.

თუმცა... დეჰყანის ნაამბობზე სიტყვა რომ ვიწყე,
ისევ იმ ამბავს მივუბრუნდე, აჯობოს იქნებ.

ჯემალ ლოლუა



— კინაღამ შრომადღე არ ჩავუწერე, თურმე სამუშაოზე ყოფილა!



— ახლაც იტყვიან, უფროსი კარგ მაგალითს არ აძლევს თანამშრომლებსო?!



— შე დალოცვილო, მეორე ულვაშიც მოგეპარსა, იქნებ, ზედმეტს გაძლევდი?!



— ხომ მოვჭერი თავი ამ კაცს საქვეყნოდ...



— სად არის დადგენილება კერძო მესაკუთრული ტენდენციების შესახებ?
— ადგილკომმა სეიფში ჩაკეტა, ჩემი საკუთრებააო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თითქოს დაუჯერებელი



ჩეხოსლოვაკიაში არსებობს მუზეუმი, რომელშიც გამოფენილია ჩვეულებრივი ასანთის კოლოფები, რვეულები, კენჭები, ქოლგები...
ეს ნივთები მსაჯობით უკმაყოფილო მაყურებლებმა ისროლეს ყინულის მოედანზე ჰოკეის მატჩების დროს.

●

კრაკოვის მახლობლად არის მეტად ორიგინალური მუზეუმი, რომელშიც მხოლოდ მზის საათებია თავმოყრილი.
ერთ-ერთი საათის ხნოვანება... 450 წელია.



●

მიუნხენში გაიხსნა უდიდესი უნივერსალური მაღაზია, რომელიც ემსახურება... მხოლოდ ძაღლებს.
მაღაზიაში იყიდება ძაღლების პალტოები, პერანგები, ქუდები, წინდები, ფეხსაცმელი, ქოლგები...

●

ამერიკელმა ფეხბურთელებმა უკანასკნელ წლებში ერთმანეთს მიაყენეს... 1,8 მილიონი სხვადასხვა ტრავმა.
მარტო 1965 წელს ფეხბურთის მინდორზე მძიმე დაზიანებით გარდაიცვალა... 49 სპორტსმენი.



●

უმუშევარმა იტალიელმა ვინჩენტო ტანცელომ ამას წინათ ავტომანქანა მხოლოდ იმიტომ გაიტაცა, რომ... ციხეში მოხვედრილიყო.
„მინდოდა მქონოდა თავშესაფარი ჭერი და ერთი თეფში ცხელი წვნიანი", განაცხადა სასამართლოზე 22 წლის ვინჩენტო ტანცელომ.

●

ჩეხოსლოვაკიის ქალაქ სლანში ინახება ერთი გაცრეცილი წერილი.
ეს წერილი ყველაზე გრძელია იმ წერილთა შორის, რომლებიც ოდესმე დაწერილა ჩეხოსლოვაკიაში.



●

უკანასკნელ წლებში საფრანგეთში მნიშვნელოვნად გაიზარდა დანაშაულთა რიცხვი.
1976-1977 წლებში შეიარაღებული თავდასხმების რაოდენობა გადიდდა 5-ჯერ, ბანკების ძარცვა... 20-ჯერ.

●

ავსტრალიაში რეკორდულ ციფრს მიაღწია უმუშევართა რიცხვმა.
ქვეყანაში ახლა უმუშევარია აქტიური მოსახლეობის... 5,7 პროცენტი.



●

გასული წლის იანვრიდან ბელგიაში გაკოტრდა და არსებობა შეწყვიტა... 2222 სამრეწველო საწარმომ.

●

სტამბულის მუშა-მოსამსახურეები ყოველთვიური ხელფასის ნახევარს იხდიან... ბინის ქირაში.
ამ ქალაქში ახლა ათიათასობით ბინაა გაუქირავებელი.

## ქეთინო კობულის დებიუტი

ჟურნალის ამ ნომერში გარეკანის მესამე გვერდზე ვაქვეყნებთ კადრებს ახალი ქართული ფილმიდან „სინემა", რომელიც ახლახან გამოვიდა თბილისის ეკრანებზე.

ფილმი ეძღვნება პირველ ქართველ კინემატოგრაფისტებს, რომლებმაც ჩვენში საფუძველი ჩაუყარეს ამ დიდ ხელოვნებას.

კადრებზე აღბეჭდილია ფილმის მთავარი შემსრულებლები: მურმან ჯინორია და ქეთინო კობულია.

ჟურნალ „დროშის" მკითხველებს უნდა მოვაგონოთ, რომ პატარა ქეთინოს სურათი ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე პირველად მაშინ დაიბეჭდა, როცა იგი ხუთი წლისა იყო. მეორედ ჟურნალმა „დროშამ" ქეთინო კობულიას პორტრეტი — ყურძნით სავსე კალათით ხელში, 1973 წლის ოქტომბრის ნომერში გამოაქვეყნა. აქ იგი უკვე ათი წლისაა. პირველი სურათი მას ფოტოჟურნალისტმა ოთარ თურქიამ გადაუღო, მეორე — თარხან არჩვაძემ. როგორც ფოტოჟურნალისტებმა განაცხადეს, ამ მომხიბლავ გოგონას გულგრილად ვერ ჩაუვლით.

რეჟისორ ლიანა ელიავასაც არ გამოეპარა ეს მომხიბლავი ქალიშვილი და აი, იგი კინოეკრანზე მოგვევლინა.

მაყურებელმა გულთბილად მიიღო ფილმი „სინემა", განსაკუთრებით მოწონება ხვდა წილად მურმან ჯინორიასა და დებიუტანტ ქეთევან კობულიას.

ქეთევან კობულია თბილისის გ. ტაბიძის სახელობის 51-ე საშუალო სკოლის 9 კლასის მოსწავლეა, ვერ ვიტყვით, რომ მისი მისწრაფებაა კინომსახიობი გახდეს, თუმცა ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ ერთხელ კიდევ გადაიღებდა ფილმში, განასახიერებდა თანამედროვე ქალიშვილის როლს, ვთქვათ: ექიმის, მხატვრის, სპორტსმენის...

გარეკანის პირველ გვერდზე: გოგონათა ანსამბლი „მაისი". თარხან არჩვაძის ფოტო. მეოთხე გვერდზე: ეკა აბულაძე (14 წლის) ლურჯი ცხენები, ნატურმორტი, დედოფლის ოცნება.

გადაეცა ასაწყობად 6. 2. 78 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 16. 3. 78 წ., ქაღალდის ზომა 70×108¹/₈, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2,5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,0, ტირაჟი 54.000. შეკვ. 443. უე 00664. ფასი 30 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14

რედაქციის მისამართი:
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთ. რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებების — 93-28-42, 99-01-89.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.





ეროვნული
ბიბლიოთეკა

კადრები ფილმიდან
„სინემა“









ИНДЕКС 76056